ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

იურიდიული ფაკულტეტი

სამართლის სამაგისტრო პროგრამა

ეკატერინე ფიფია

პერსონალური მონაცემები როგორც სანაცვლო შესრულება ინტერნეტით დადებულ ხელშეკრულებებში

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: დიმიტრი გუგუნავა,
სამართლის მაგისტრი
მოწვეული ლექტორი

თბილისი 2019

ს ა რ ჩ ე ვ ი

ა ბ რ ე ვ ი ა ტ უ რ ა 3

I. შესავალი 5

II. ინტერნეტში დადებულ ხელშეკრულებათა ხასიათი და რეგულირება 7

1. სასყიდლიანი და უსასყიდლო ხელშეკრულებების გამიჯვნა 7
2. ინტერნეტით დადებულ ხელშეკრულებათა შედარებითი ანალიზი 10
2.1 ნასყიდობა, გაცვლა და ქირავნობა 11
2.2. ჩუქება და თხოვება 14
3. მიმწოდებლის პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი ნორმები 15

III. პერსონალური მონაცემები როგორც სანაცვლო შესრულება 18

1. პერსონალური მონაცემების ცნება 18
2. პერსონალური მონაცემები როგორც ახალი ვალუტა 22
2.1. ფულისა და პერსონალური მონაცემების შედარება 22
2.2. პერსონალურ მონაცემთა დაცვა ფულთან მიმართებაში 24

IV. დამატებითი სამართლებრივი მოწერსიგების აუცილებლობა 29

1. ციფრული შინაარსის მიწოდების შესახებ ხელშეკრულების რეგულაცია 29
2. მომხმარებელთა უფლებების სამართლებრივი დაცვა 32
2.1. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალი 32
2.2. ვალდებულებით-სამართლებრივი რეგულაციები 34

V. დასკვნა 37

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა 39

ა ბ რ ე ვ ი ა ტ უ რ ე ბ ი

ასოცირების შეთანხმება - ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის.

გსკ - გერმანიის სამოქალაქო კოდექსი

კანონპროექტი - ევროკავშირის პარლამენტისა და საბჭოს კანონპროექტი 2015/0287 (COD) ციფრული შინაარსის მიწოდების შესახებ ხელშეკრულებების გარკვეული ასპექტების შესახებ

რეგულაცია - ევროკავშირის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაცია (EU) 2016/679 პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და ასეთი მონაცემების თავისუფალი გაცვლის შესახებ.

სსკ - საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

ქარტია - ძირითად უფლებათა ევროპული კავშირის ქარტია (2000/C 364/01)

AcP - Archiv für die civilistische Praxis

Art. - Artikel

Aufl. - Auflage

BDSG - Bundesdatenschutzgesetz

BGB - Bürgerliches Gesetzbuch

BGH - Bundesgerichtshof

DS-GVO - Datenschutz-Grundverordnung

DuD - Datenschutz und Datensicherung

EuCML - Journal of European Consumer and Market Law

EuZW - Europäische Zeitschrift für Wirtschaftsrecht

ff. - fortfolgende

GPR - Zeitschrift für Gemeinschaftsprivatrecht

Hrsg. - Herausgeber

JZ - Juristische Zeitung

MMR - MultiMedia und Recht

NJW - Neue Juristische Wochenschrift

Nr. - Nummer

Rn. - Randnummer

WP - Wahlperiode

ZfPW - Zeitschrift für die gesamte Privatrechtswissenschaft

ZUM - Zeitschrift für Urheber- und Medienrecht

I. შესავალი

საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ ძირეული ცვლილებები გამოიწვია მთელ საზოგადოებაში და „ინტერნეტიზირებულ ეპოქაში“ მოგვიყვანა. ბუნებრივია, ინტერნეტმა გავლენა იქონია კანონმდებლობაზეც.

ბოლო ხანებში განსაკუთრებულად აქტიური მსჯელობა მიმდინარეობს პერსონალური მონაცემების კომერციალიზაციაზე. მრავალი ციფრული შინაარსის მქონე პროდუქტი თუ მომსახურება ინტერნეტში ხშირად „უფასოდ“ არის შემოთავაზებული. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მათ სანაცვლოდ არაფერს ვიხდით. მართალია მომხმარებელი არ აკეთებს ფულად განაცემს მიღებული ციფრული შინაარსის მქონე პროდუქტისთვის, მაგრამ ხშირად ის ვალდებულებას ასრულებს თავისი პერსონალური მონაცემებით სარგებლობის უფლებების გადაცემის გზით. ასეთი პერსონალური მონაცემები შეიძლება იყოს ისეთი მონაცემები, როგორიცაა სახელი, სქესი, დაბადების თარიღი, ასევე ადგილსამყოფელი და მრავალი სხვა.

პერსონალური მონაცემები შესაძლებელია მრავალმხრივ გამოყენებულ იქნეს კომერციული მიზნებისთვის. ხშირად მეწარმეები მომხმარებლის პერსონალურ მონაცემებს იყენებენ იმისათვის, რომ რეკლამები უფრო ეფექტური და სამიზნე ჯგუფზე ორიეტირებული გახადონ. ამით მეწარმე ეკონომიკურ სარგებელს იღებს და სათაური „უფასო“ მხოლოდ აბნევს მომხმარებელს. პერსონალური მონაცემებით „გადახდის“ თვალსაჩინო მაგალითია „ფეისბუქზე“[1], „ტვიტერზე“[2] ან სხვა სოციალურ ქსელში რეგისტრაცია, რომლებიც ეკონომიკურ სარგებელს ხედავენ ამ მონაცემების მარკეტინგული ან სხვა მიზნებით დამუშავებაში.

ამდენად, აუცილებელია პასუხი გაეცეს კითხვას, ციფრული შინაარსის უზრუნველყოფა პერსონალური მონაცემების სანაცვლოდ უსასყიდლოდ ხდება თუ არა და პერსონალური მონაცემების გადაცემა შესაძლოა თუ არა განხილულ იქნეს სანაცვლო შესრულებად.

პერსონალური მონაცემების კომერციალიზაცია ფიზიკური პირებისთვის წარმოშობს ახალ რისკებს, რომლებსაც პასუხი უნდა გასცეს სამართლებრივმა წესრიგმა. დღესდღეობით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალი კონცენტრირებულია პირადი უფლებების დაცვაზე და არა ვაჭრობის სამართლიანობაზე. ამიტომაც დასადგენია, რა მოცულობით იცავს მომხმარებელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალი, საკმარისია თუ არა არსებული დაცვა და საჭიროა თუ არა ახალი რეგულაციების შემოღება.

[1] სოციალური ქსელი www.facebook.com
[2] სოციალური ქსელი www.twitter.com

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (სსკ) შექმნის დროს ძირითად წყაროდ გამოყენებულ იქნა გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (გსკ). შედეგად ქართული სამოქალაქო სამართალი ყველაზე დიდ მსგავსებას სწორედ გერმანულ სამოქალაქო სამართალთან ჰპოვებს. სწორედ ამიტომ, საკითხის შედარებით-სამართლებრივი ანალიზის მიზნით, ნაშრომში პარალელი გავლებულია ქართული და გერმანული სამოქალაქო სამართლებრივ მოწესრიგებას შორის.

ნაშრომში ასევე მოხდება ევროკავშირის კანონმდებლობის ანალიზი, ვინაიდან ასოცირების შესახებ შეთანხმებით ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის. (შემდგომში - ასოცირების შეთანხმება) საქართველო ვალდებულია მოახდინოს ქართული კანონმდებლობის ჰარმონიზება ევროპის კანონმდებლობასთან. აღნიშნული ვალდებულება კონკრეტულად მიუთითებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლის რეგულაციების განახლებაზე. ამ მიზნით, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ევროკავშირის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციას (EU) 2016/679 პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და ასეთი მონაცემების თავისუფალი გაცვლის შესახებ (შემდგომში - რეგულაცია), რომელიც ძალაში შევიდა 2018 წლის 25 მაისს და რომლის მოქმედების ფარგლები არ არის შეზღუდული მხოლოდ ევროკავშირის ტერიტორიით.

ნაშრომის მიზანია პერსონალური მონაცემების როგორც სანაცვლო შესრულების არსისა და ქართულ სამართალში მისი არსებობის ზოგადი მიმოხილვა, პერსონალურ მონაცემთა სანაცვლოდ ციფრული შინაარსის მიწოდების შესახებ ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნებისა და მასთან მიმართებით მოქმედი სამოქალაქო სამართლის ნორმების იდენტიფიცირების საკითხის ანალიზი შედარებით-სამართლებრივი, ლოგიკური და სისტემური მეთოდების გამოყენებით, ქართულ სამართალში არსებული ხარვეზებისა და ნაკლოვანებების აღმოჩენა და მათი აღმოფხვრის გზების ძიება.

ნაშრომში თავდაპირველად განხილული იქნება სასყიდლიანი და უსასყიდლო ხელშეკრულების არსი ზოგადად, შემდეგ კი მოხდება პერსონალურ მონაცემთა სანაცლოდ ციფრული შინაარსის მიწოდების შესახებ ხელშეკრულების უსასყიდლობა-სასყიდლიანობის დადგენა. შემდეგ თავში განიხილება ნაშრომის საკვანძო საკითხი - პერსონალური მონაცემები როგორც სანაცვლო შესრულება, კერძოდ კი პერსონალური მონაცემების ცნება და მისი ფულთან გაიგივების პრობლემატიკა. მეოთხე თავი შეეხება რეგულირების საჭიროებას ქარულ სამართალში, და ბოლოს, დასკვნის სახით წარმოდგენილი იქნება კვლევის შედეგები.

II. ინტერნეტში დადებულ ხელშეკრულებათა ხასიათი და რეგულირება

სამყაროს ინტერნეტიზაციასთან ერთად, იურისტების ბოლოდროინდელი განხილვის თემად იქცა ციფრული შინაარსის მიწოდების შესახებ ხელშეკრულების უსასყიდლო ხასიათი. როგორც შესავალში ვახსენეთ, ინტერნეტ-სივრცეში არსებობენ მიმწოდებლები, რომლებიც ინტერნეტში ციფრულ შინაარსს ან მომსახურებას მომხმარებლებს უფასოდ სთავაზობენ. ამიტომაც, ხშირად ასეთი ხელშეკრულებები მომხმარებლების მიერ აღიქმება როგორც „უსასყიდლო". თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ხშირ შემთხვევაში ინტერნეტში „უფასოდ" შემოთავაზებული ციფრული შინაარსის მისაღებად აუცილებელია პერსონალური მონაცემების გაცემა. შესაბამისად, მართალია, მიმღები ციფრული შინაარსისათვის ფულს არ იხდის, მაგრამ თავისი პერსონალური მონაცემების (მაგ., სახელი, დაბადების თარიღი, დაბადების ადგილი და ა.შ.) გადაცემით ასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებას. ამდენად, ისმის კითხვა, არის თუ არა ასეთი ხელშეკრულება უსასყიდლო.

სასყიდლიანი და უსასყიდლო ხელშეკრულებების ერთმანეთისგან გამიჯვნას დიდი მნიშვნელობა აქვს ციფრული შინაარსის მიწოდების შესახებ ხელშეკრულების მიმართ მოქმედი სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განსაზღვრისათვის, კერძოდ კი ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების გასარკვევად, როგორიცაა ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობა.

1. სასყიდლიანი და უსასყიდლო ხელშეკრულებების გამიჯვნა

სასყიდლიანია ხელშეკრულება, როდესაც ხელშეკრულების მხარეები ერთმანეთთან საპირისპირო ურთიერთობაში (ე.წ. „სინალაგმა") არიან ისე, რომ მხარეთაგან თითოეული ვალდებულია, გაიღოს ქონება[3]. ამდენად, სასყიდლიანობის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია კრედიტორის ვალდებულება განახორციელოს სანაცვლო შესრულება.[4] სასყიდლიანი ხელშეკრულებების ტიპიური ფორმებია: ნასყიდობა, ქირავნობა და სესხი (შესრულება შეიძლება განხორციელდეს როგორც ფულადი, ისე არამატერიალური ფორმით), ხოლო უსასყიდლო ხელშეკრულებების ტიპიური ფორმებია: ჩუქება და თხოვება.

სსკ არ შეიცავს ზოგად დებულებებს, რომლებიც ყველა უსასყიდლო ხელშეკრულებაზე ერთბაშად ვრცელდება. ამიტომაც, უსასყიდლობის ცნება იმ ნორმების

---

[3] J. von Staudingers Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen, Buch 2 - §§516-534, 15. Aufl., Berlin 2013, §516 Rn. 44ff; Faust F., Digitale Wirtschaft – Analoges Recht: Braucht das BGB ein Update? – Gutachten zum 71. Deutschen Juristentag, 14.

[4] სახელშეკრულებო სამართალი - სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის, რედ. ჯუღელი გ., თბილისი 2014, 62.

საფუძველზე უნდა განისაზღვროს, რომლებიც კონკრეტული უსასყიდლო ხელშეკრულების ტიპებს აწესრიგებს. გერმანულ სამართალში უსასყიდლობის ცნების დასადგენად ძირითადად განიხილება ჩუქების ხელშეკრულების ნორმები, რადგან კანონმდებელმა აღნიშნული ხელშეკრულების ტიპი უფრო ფართოდ მოაწესრიგა გსკ-ს სხვა უსასყიდლო ხელშეკრულების ტიპებთან შედარებით.

სსკ-ში უსასყიდლო ხელშეკრულებები, როგორიცაა ჩუქება და თხოვება, საკმაოდ მწირედ არის მოწესრიგებული, თუმცა არსებული ნორმების საფუძველზე შესაძლებელია დადგინდეს უსასყიდლობის ცნება. უსასყიდლო ხელშეკრულება სახეზეა, როცა გადაცემა ცალმხრივია და სანაცვლო შესრულებას არ უკავშირდება, ანუ არ არის დამოკიდებული მაკომპენსირებელ სანაცვლო შესრულებაზე[5]. ამდენად, ჩუქების ხელშეკრულების უსასყიდლო ბუნება გამოიხატება იმაში, რომ მჩუქებელს არა აქვს უფლება მოითხოვოს დასაჩუქრებულისაგან სანაცვლო შესრულება, ხოლო თუ ასეთ მოთხოვნას ადგილი აქვს, ასეთი ხელშეკრულება ჩაითვლება თვალთმაქცურად.[6]

ხელშეკრულების უსასყიდლობისთვის აუცილებელია, რომ მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულების უსასყიდლობაზე, როგორც ობიექტურად, ისე სუბიექტურად[7]. სუბიექტური უსასყიდლობა არ არის მოცემული მაშინ, როდესაც მხარეთაგან ერთ-ერთი საჩუქარს (შეწირულობას) აღიქვამს როგორც სანაცვლო ვალდებულების შესრულებას ან საფასურს[8]. უსასყიდლო ხელშეკრულება ასევე არ გვაქვს მოცემული მაშინ, როცა შესრულების ღირებულება არსებითად ნაკლებია სანაცვლო შესრულების ღირებულებაზე და პირიქით, რადგან ვალდებულებითი სამართლის კერძო-ავტონომიის ძირითადი პრინციპის მიხედვით, მხარეებს უფლება აქვთ ობიექტურად უთანასწორო შესრულება სუბიექტურად, როგორც თანასწორი მიიჩნიონ[9]. ასევე, ფულადი ვალდებულებისა და არამატერიალური სანაცვლო შესრულების არარსებობა არ ნიშნავს იმას, რომ წინამდებარე

---

[5]J. von Staudingers Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen, Buch 2 - §§516-534, 15. Aufl., Berlin 2013, §516 Rn.36; Grimm A., Schmidt-Kessel M., Unentgeltlich oder entgeltlich? – Der vertragliche Austausch von digitalen Inhalte gegen personenbezogene Daten, ZfPW 2017, 84, 94.

[6]ძლიერიშვილი ზ., ჩუქების ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება (მონოგრაფია), თბილისი, 2004, 23; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი I, სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი 2001, 65.

[7] დანელია ე., გამიჯვნის პრინციპი ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2008, 50; Grimm A., Schmidt-Kessel M., Unentgeltlich oder entgeltlich? – Der vertragliche Austausch von digitalen Inhalte gegen personenbezogene Daten, ZfPW 2017, 84, 94;

[8]J. von Staudingers Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen, Buch 2 - §§516-534, 15. Aufl., Berlin 2013, §516 Rn. 38; Grimm A., Schmidt-Kessel M., Unentgeltlich oder entgeltlich? – Der vertragliche Austausch von digitalen Inhalte gegen personenbezogene Daten, ZfPW 2017, 84, 94.

[9]J. von Staudingers Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen, Buch 2 - §§516-534, 15. Aufl., Berlin 2013, §516 Rn. 39; Fischer, M., Die Unentgeltlichkeit im Zivilrecht, Köln u.a. 2002, 56; Grimm A., Schmidt-Kessel M., Unentgeltlich oder entgeltlich? – Der vertragliche Austausch von digitalen Inhalte gegen personenbezogene Daten, ZfPW 2017, 84, 95; Münchener Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch: Hrsg. Rebmann K., Säcker F., 7. Aufl., München 2016 ff. §516, Rn. 24; Münchener Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch: Hrsg. Rebmann K., Säcker F., 7. Aufl., München 2016 ff. §598, Rn. 21.

ურთიერთობა უსასყიდლოა[10]. გარდა ამისა, ხელშეკრულების უსასყიდლობა გამოირიცხება მაშინ, როცა ვადამოუსვლელი ვალდებულების შესრულება ხორციელდება, რადგან მოცემულ შემთხვევაში შესრულება განიხილება როგორც კონკრეტული სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება და არა როგორც უსასყიდლო შემოწირულობის განხორციელება[11].

თავის მხრივ, უსასყიდლო შესრულება მოცემულია მაშინ, როცა მხარეთა ურთიერთშემთანხმებით არარსებული ვალდებულების შესრულება ხორციელდება[12]. უსასყიდლოა სხვისი ვალდებულების შესრულებაც, თუ შესრულების მიმღების მოთხოვნა არ იყო აღსულებადი[13]. ასევე, ვალდებულებების გადასვლა არ უნდა იქნეს აღქმული, როგორც უსასყიდლო შესრულება[14].

საბოლოოდ, უნდა დავასკვნათ, რომ სასყიდლიან და უსასყიდლო ხელშეკრულებებს შორის გამიჯვნისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სანაცვლო შესრულების მიმართ ხელშეკრულების მხარეთა ინტერესებს[15]. თუკი შესრულება სინალაგმატურად, კონდიციურად ან კაუზალურად არ არის დაკავშირებულია სანაცვლო შესრულებასთან, ასეთი ხელშეკრულება უნდა ჩაითვალოს უსასყიდლოდ[16].

იმისათვის, რომ პასუხი გავცეთ კითხვაზე, პერსონალური მონაცემების სანაცვლოდ ციფრული შინაარსის მიწოდების შესახებ ხელშეკრულება სასყიდლიანია თუ უსასყიდლო, აუცილებელია განისაზღვროს, შესაძლებელია თუ არა პერსონალური მონაცემების კვალიფიკაცია როგორც სანაცვლო შესრულება აღნიშნული ტიპის ხელშეკრულებებში.

მონაცემთა სუბიექტს მისთვის შეპირებული შესრულების - ციფრული შინაარსის - მიღება შეუძლია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის თავის პერსონალურ მონაცემებს, როგორც შესრულების ობიექტს, გასცემს ან მისი სარგებლობის უფლებას გასცემს შესაბამისი

---

[10]J. von Staudingers Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen, Buch 2 - §§516-534, 15. Aufl., Berlin 2013, §516, Rn. 39-40; Münchener Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch: Hrsg. Rebmann K., Säcker F., 7. Aufl., München 2016 ff. §516, Rn. 25.

[11]Beck Online Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch, Hrsg. Bamberger H. G., Hau W., Poseck R., Roth H., 46. Edition, Stand: 01.05.2018, §516 Rn. 7.

[12]J. von Staudingers Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen, Buch 2 - §§516-534, 15. Aufl., Berlin 2013, §516, Rn. 42.

[13]Münchener Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch: Hrsg. Rebmann K., Säcker F., 7. Aufl., München 2016 ff. §516, Rn. 26.

[14]J. von Staudingers Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen, Buch 2 - §§516-534, 15. Aufl., Berlin 2013, §516, Rn. 42; Münchener Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch: Hrsg. Rebmann K., Säcker F., 7. Aufl., München 2016 ff. §516, Rn. 25.

[15]Grimm A., Schmidt-Kessel M., Unentgeltlich oder entgeltlich? – Der vertragliche Austausch von digitalen Inhalte gegen personenbezogene Daten, ZfPW 2017, 84, 94.

[16]J. von Staudingers Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen, Buch 2 - §§516-534, 15. Aufl., Berlin 2013, §516, Rn. 44; Beck Online Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch, Hrsg. Bamberger H. G., Hau W., Poseck R., Roth H., 46. Edition, Stand: 01.05.2018, §516 Rn. 7.

თანხმობით[17]. ამით თანხმობა და პერსონალური მონაცემების გადაცემა განხილულ უნდა იქნეს როგორც ორმხრივი ხელშეკრულება. მნიშვნელობა არ აქვს, რომ მონაცემთა სუბიექტი ვერ აცნობიერებდა, რომ სანაცვლო ვალდებულებას ასრულებდა. მნიშვნელოვანია, რომ მონაცემების კრედიტორი ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით პერსონალური მონაცემების გადაცემას და თანხმობას მოითხოვს და თავისი ვალდებულების შესრულებას ამაზე დამოკიდებულს ხდის[18].

იმისთვის, რომ პერსონალური მონაცემების სანაცვლოდ ციფრული შინაარსის მიწოდების შესახებ ხელშეკრულების უსასყიდლობა დადგინდეს, ორი შემთხვევა უნდა განვასხვავოთ: 1. როდესაც ხელშეკრულების დადებისთვის აუცილებელია პერსონალური მონაცემების გადაცემა და ამ მონაცემებით სარგებლობის უფლებების უზრუნველყოფა; 2. როდესაც, მართალია პერსონალური მონაცემების გადაცემა და მასთან დაკავშირებული სარგებლობის უფლებების უზრუნველყოფა ვალდებულების შესასრულებლად აუცილებელი არ არის, მაგრამ ამის გარეშე მიმწოდებელი შემოთავაზებულ ციფრულ შინაარსს არ გადასცემს[19]. მეორე შემთხვევაში პერსონალური მონაცემების გადაცემა და მასთან დაკავშირებული სარგებლობის უფლებების უზრუნველყოფა უნდა განვიხილოთ როგორც სანაცვლო შესრულება, რადგან ამის გარეშე მონაცემების სუბიექტსა და მიმწოდებელს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა ვერ შედგება, მაგალითად, როცა მონაცემთა დამუშავება მომსახურების გასაწევად აუცილებელია[20]. აქ შესრულებასა და სანაცვლო შესრულებას შორის სინალაგმატური კავშირი არის მოცეული, რომლის შედეგადაც პერსონალური მონაცემების სანაცვლოდ ციფრული შინაარსის მიწოდების შესახებ ხელშეკრულება სასყიდლიანად უნდა ჩაითვალოს[21].

2. ინტერნეტით დადებულ ხელშეკრულებათა შედარებითი ანალიზი

ზემოთ მოცემული ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნის განსამტკიცებლად და იმის დასადგენად, თუ სამოქალაქო კოდექსის რომელი ნორმები უნდა გამოვიყენოთ ციფრული შინაარსის მიწოდების შესახებ ხელშეკრულებებთან მიმართებით, პირველ რიგში, აღნიშნული ხელშეკრულებები უნდა შევადაროთ სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ სასყიდლიანი და უსასყიდლო ტიპის ხელშეკრულებებს.

---

[17] Specht L., Daten als Gegenleistung – Verlangt die Digitalisierung nach einem neuen Vertragtypus? JZ, 2017, 763, 764.
[18] Specht L., Daten als Gegenleistung – Verlangt die Digitalisierung nach einem neuen Vertragtypus? JZ, 2017, 763, 764.
[19]Grimm A., Schmidt-Kessel M., Unentgeltlich oder entgeltlich? – Der vertragliche Austausch von digitalen Inhalte gegen personenbezogene Daten, ZfPW 2017, 84, 95.
[20]Faust F., Digitale Wirtschaft – Analoges Recht: Braucht das BGB ein Update? – Gutachten zum 71. Deutschen Juristentag, 7.
[21]Grimm A., Schmidt-Kessel M., Unentgeltlich oder entgeltlich? – Der vertragliche Austausch von digitalen Inhalte gegen personenbezogene Daten, ZfPW 2017, 84, 95.

2.1 ნასყიდობა, გაცვლა და ქირავნობა

ნასყიდობის ხელშეკრულება სამოქალაქო სამართლის ყველაზე მნიშვნელოვანი და ხშირად გამოყენებადი ხელშეკრულების ტიპია. სსკ-ს 477-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი, ხოლო მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ქონება.

ამდენად ნასყიდობის ხელშეკრულება ხასიათდება იმით, რომ ნასყიდობის საგანი მყიდველს საბოლოოდ გადაეცემა. შესაბამისად, ციფრულ შინაარსთან მიმართებაში ნასყიდობა მოცემულია მაშინ, როცა ციფრული შინაარსი მყიდველს საბოლოო და ხანგრძლივი მოხმარებისთვის გადაეცემა. ის ფაქტი, რომ ციფრული შინაარსი შესაძლოა დროის მცირე მონაკვეთში მოძველდეს ან საერთოდ უვარგისი გახდეს, ვინაიდან ახალი კომპიურეტული მოწყობილობებით შეუძლებელია მათი სარგებლობა (არ არის მათთან თავსებადი), ასეთი ხელშეკრულების ნასყიდობად დაკვალიფიცირებას ხელს არ უშლის.

ნასყიდობის მარეგულირებელი ნორმები ამოდიან იქიდან, რომ მყიდველი ნასყიდობის საგნის შესასყიდად სანაცვლო შესრულებას ახორციელებს ფულადი განაცემით. სწორედ ამიტომ, იმ შემთხვევებში, როდესაც ციფრული შინაარსის მიმღები სანაცვლო შესრულების სახით თავის პერსონალურ მონაცემებს და მათ დამუშავებაზე თანხმობას გასცემს, ნასყიდობის ხელშეკრულება არ დგება. ვინაიდან მოცემულ ხელშეკრულებაში, ერთი შეხედვით, შეიძლება ითქვას, რომ ქონებათა ურთიერთგაცვლას აქვს ადგილი, უფრო მართებული იქნება მისი დაკვალიფიცირება როგორც გაცვლის ხელშეკრულება. მართალია, პერსონალურ მონაცემთა სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, მათი სანივთო სამართლებრივი სტატუსი საკამათოა და ქართულ კანონმდებლობა ამ საკითხთან დაკავშირებით პასუხს არ იძლევა (თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით უფრო დეტალურ მსჯელობას მომდევნო თავებში გავაგრძელებთ). სსკ-ს 523-ე მუხლის თანახმად, გაცვლის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ნასყიდობის შესაბამისი წესები. აქედან გამომდინარე, მიუხედავად განხილული ხელშეკრულების ნასყიდობის ხელშეკრულებად კვალიფიკაციის უარყოფისა და მის გაცვლის ხელშეკრულების განხილვისა, გამოიყენება ნასყიდობის ნორმები. აღნიშული საკითხი იდენტურად არის მოწესრიგებული ასევე გერმანულ სამოქალაქო სამართალში.

რაც შეეხება ქირავნობის ხელშეკრულებას, სსკ-ს 531-ე მუხლი ადგენს მის ცნებას, რომლის თანახმადაც, ქირავნობის ხელშეკრულებით გამქირავებელი მოვალეა დამქირავებელს გადასცეს ნივთი განსაზღვრული ვადით, ხოლო დამქირვებელი მოვალეა გამქირავებელს გადაუხადოს დათქმული ქირა. ციფრული შინაარსის მიწოდების შესახებ

სასყიდლიანი ხელშეკრულებები შესაძლოა დაკვალიფიცირდეს როგორც ქირავნობა, როცა ციფრული შინაარსი მყიდველს გადაეცემა მხოლოდ გარკვეული დროით მფლობელობაში[22].

ამდენად, დგინდება, რომ ნასყიდობისა და ქირავნობის ხელშეკრულებების ერთ-ერთ მთავარ ელემეტს წარმოადგენს ნივთი, როგორც ხელშეკრულების ობიექტი. ციფრული შინაარსის ნივთად განმარტება არ არის პრობლემატური, რადგან გერმანიის უზენაესმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში ინტერნეტში ან სხვა ელექტრონულ ქსელში დადებულ კომპიურეტული პროგრამის (ე.წ. სოფტვეარის) გარკვეული დროით შეზღუდულ მფლობელობაში გადაცემის შესახებ ხელშეკრულებასთან მიმართებით ქირავნობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმები გამოიყენა[23].

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სსკ-ს ნასყიდობის მარეგულირებელი ნორმების უმრავლესობა უპრობლემოდ შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ციფრული შინაარსის მიწოდების შესახებ სასყიდლიანი ხელშეკრულებების მიმართ, მაგრამ მაინც არსებობს ისეთი ასპექტები, რაც სიცხადეს საჭიროებს. სახელდობრ, პრობლემატურია სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულება, კონკრეტულად კი ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულებაზე უარის თქმა.

სსკ-ს 352-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ (ნატურით დაბრუნება). ციფრული შინაარსისა და პერსონალური მონაცმებების ჩვეულებრივი მატერიალური ნივთისგან განსხვავებული ბუნებიდან გამომდინარე, ნატურით დაბრუნების მოთხოვნა შეუსაბამოა მათთან მიმართებით. სწორედ ამიტომ, გამოყენებულ უნდა იქნეს სსკ-ს 352-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც ნატურით დაბრუნების ნაცვლად მოვალეს ეკისრება ფულადი ანაზღაურება, თუ შეძენილის ხასიათიდან გამომდინარე, გამორიცხულია მისი დაბრუნება.

გერმანიაში აღნიშნული საკითხი უფრო ფართოდ არის მოწესრიგებული გსკ-ს მომხმარებელთა დაცვის სამართლებრივი ნორმებით. კერძოდ, გსკ-ს 346-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად მომხმარებელი ვალდებულია მისთვის გადაცემული ციფრული შინაარსი დააბრუნოს და თავისთან წაშალოს[24]. ვინაიდან შესაძლებელია ციფრული შინაარსის მრავალი ასლის გაკეთება, უკან დაბრუნების მოთხოვნას დასახულ მიზნამდე ეფექტურად ვერ მივყავართ[25]. ამიტომაც,

---

[22]Bräutigam P., Das Nutzungsverhältnis bei sozialen Netzwerken Zivilrechtlicher Austausch von IT-Leistung gegen personenbezogene Daten, MMR 2012, 635, 636.

[23]Faust F., Digitale Wirtschaft – Analoges Recht: Braucht das BGB ein Update? – Gutachten zum 71. Deutschen Juristentag, 33; გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლო, BGH VIII ZR 3/06 Urteil vom 15.11.2006.

[24]Faust F., Digitale Wirtschaft – Analoges Recht: Braucht das BGB ein Update? – Gutachten zum 71. Deutschen Juristentag, 23.

[25] იქვე, 31.

გამყიდველმა გსკ-ს 346-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების თანახმად, უნდა აანაზღაუროს მიღებული შესრულების ღირებულება, რომელიც უნდა დადგინდეს გამყიდველის მიერ შესრულებული ვალდებულების საფუძველზე.

ხელშეკრულებაზე უარის თქმის დროს, პერსონალური მონაცემების სანაცვლოდ ციფრული შინაარსის მიწოდების შესახებ ხელშეკრულების შემთხვევაში, მხარეებმა უნდა დააბრუნონ მათ მიერ მიღებული შესრულებები გსკ-ს 355 პარაგრაფის მე-3 ნაწილის 1-ლი წინადადებისა და 357-ე პარაგრაფის მიხედვით. გსკ განასხვავებს ციფრული შინაარსის მიწოდების ორ შემთხვევას. ერთის მხრივ, ხმის ან ვიდეოჩანაწერის, ან კომპიუტერული პროგრამების მატერიალური მატარებლის (მაგ., CD დისკი, მეხსიერების ბარათი და ა.შ.) საშუალებით მიწოდების შესახებ ხელშეკრულებების შემთხვევაში, გსკ-ს 312ზ პარაგრაფის მე-2 ნაწილის მე-6 ნომერის თანახმად, ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება არ წარმოიშობა, როცა ციფრული შინაარსი მიწოდებულია დალუქულ შეფუთვაში და რომლის მიწოდების შემდეგაც ლუქი მოიხსნება. მეორეს მხრივ, იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება დაიდო ციფრული შინაარსის მიწოდებაზე მატერიალური მატარებლის გამოყენების გარეშე, გსკ-ს 356-ე პარაგრაფის მე-5 ნაწილის თანახმად, ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება ქარწყლება, როცა მეწარმე ხელშეკრულების შესრულებას იწყებს ხელშეკრულებაზე უარის თქმის ვადის დაწყებამდე და ადასტურებს, რომ გაცნობიერებული აქვს, რომ ხელშეკრულების შესრულების დაწყებით ის თანხმდება ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გაქარწყლებაზე. ამდენად, მიმწოდებლის დაცვის ინტენსივობა დამოკიდებულია იმაზე, ციფრული შინაარსის მიწოდება ხდება თუ არა მატერიალური მატარებლის საშუალებით[26]. გსკ-ს 356-ე პარაგრაფის მე-5 ნაწილის თანახმად, ონლაინ-მიწოდების შემთხვევაში, მომხმარებელი კარგავს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას ხელშეკრულების დადების შემდეგ და გსკ-ს 312ზ პარაგრაფის მე-2 ნაწილის მე-6 ნომერის მიხედვით მატერიალური მატარებლის საშუალებით მიწოდების შემთხვევაში ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება ქარწყლდება ლუქის მოხსნის მომენტიდან[27]. ასეთი დიფერენცირება წინააღმდეგობაში მოდის მედიანეიტრალიტეტის მოთხოვნასთან, რომლის მიხედვითაც არაგონივრულია გამოსაყენებელი რეგულაცია დამოკიდებული იყოს ციფრული შინაარსის მიწოდების საშუალებაზე[28].

იგივე ვალდებულებები წარმოეშობა მიმწოდებელს ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ხელშეკრულებაზე უარი თქმასთან დაკავშირებით - მომხმარებლისგან მიღებული პერსონალური მონაცემების დაბრუნება და თავისთან წაშლა. ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში დაბრუნებისა და წაშლის ვალდებულება წარმოიშობა ორივე შემთხვევაში. პირველი, როცა მიმწოდებელს პერსონალური მონაცემები გადაეცემა

[26]Faust F., Digitale Wirtschaft – Analoges Recht: Braucht das BGB ein Update? – Gutachten zum 71. Deutschen Juristentag, 21.
[27]იქვე.
[28]იქვე.

როგორც სანაცვლო შერულება. მოთხოვნა დაბრუნებაზე და წაშლაზე შესაძლებელია წარმოიშვას გსკ-ს 355-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის 1-ლი წინადადებით - ხელშეკრულებაზე უარის თქმის ვადის დენა იწყება მაშინ, როდესაც მომხმარებელს წერილობითი ფორმით განემარტება ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება. მეორე, როცა მიმწოდებელს პერსონალური მონაცემები გადაეცემა, რადგან მათი გადაცემის გარეშე ის ვერ შეასრულებდა თავის ვალდებულებას. შესაძლებელია გსკ-ს 355-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის 1-ლი წინადადება გამოყენებულ იქნეს ანალოგიით, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში პერსონალური მონაცემების გადაცემა არ წარმოადგენს სანაცვლო შესრულებას[29]. რაც შეეხება ხელშეკრულებიდან გასვლას, ვინაიდან პერსონალური მონაცემების გადაცემა და მათი სარგებლობის უფლების მინიჭება, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, შეუძლებელია უკან იქნეს გადაცემული, გსკ-ს 346-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის 1-ლი წინადადების 1-ლი ნომერის მიხედვით, მიმწოდებელი ვალდებულია მომხმარებელს გადაუხადოს მისი ღირებულება[30]. პერსონალური მონაცემების საფასური, გსკ-ს 346-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, უნდა დადგინდეს გამყიდველის შესრულების საფუძველზე[31].

2.2. ჩუქება და თხოვება

სსკ-ს 524-ე მუხლის მიხედვით, ჩუქების ხელშეკრულებით მჩუქებელი უსასყიდლოდ გადასცემს დასაჩუქრებულს ქონებას მისი თანხმობით. რაც შეეხება გსკ-ს, 516-ე პარაგრაფის თანახმად, ქონების გადაცემა, რომლითაც ერთი პირი საკუთარი ქონების ხარჯზე ამდიდრებს სხვა პირს, არის ჩუქება, თუ ორივე მხარე თანახმაა, ქონების გადაცემა მოხდეს უსასყიდლოდ. გადაცემაში, რომელიც ამდიდრებს სხვა პირს, იგულისხმება არა ხელშეკრულებიდან გამომდინარე საკუთრების გადაცემის მოთხოვნის უფლების წარმოშობა, არამედ ფაქტობრივად ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემა. მიუხედავად იმისა, რომ სსკ-ს შესაბამისი მუხლი პირდაპირ არ მიუთითებს სხვა პირის გამდიდრებასა და ხელშეკრულების უსასყიდლო ხასიათზე, ჩუქების ცნება ქართულ და გერმანულ სამართალში იდენტურია, რადგან ნივთის საკუთრებაში გადაცემით დასაჩუქრებულის ქონება იზრდება და შესაბამისად, ადგილი აქვს მის გამდიდრებას, ხოლო რაც შეეხება ხელშეკრულების უსასყიდლობას, ის გარემოება, რომ სსკ არ ითვალისწინებს დასაჩუქრებულის საპასუხო შესრულების ვალდებულებას თავისთავად ნიშნავს იმას, რომ ჩუქების ხელშეკრულება უსასყიდლო ხასითს ატარებს[32].

---

[29]იქვე, 23.
[30]იქვე, 31.
[31]იქვე, 31.
[32]დანელია ე., გამიჯვნის პრინციპი ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2008, 56.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც გერმანულ, ისე ქართულ სამართალში ჩუქების ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმების მიხედვით, ჩუქების არსებობისთვის გადამწყვეტია, რომ ვალდებულების შესრულება ობიექტურად უსასყიდლოდ განხორციელდეს და რომ მხარეთა მიერ სუბიექტურად შეთანხმებული იყოს ამ შესრულების უსასყიდლობა.

ამდენად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ციფრული შინაარსის მიწოდება ჩუქებაა მაშინ, როცა მიმწოდებელი მომხმარებლისგან მოითხოვს პერსონალური მონაცემების გადაცემას, მიუხედავად იმისა, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის ფარგლებში ასეთი გადაცემა მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე ნებადართულია[33]. თუ მონაცემების გადაცემა დაუშვებელია მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე და ციფრული შინაარსის მიწოდება დამოკიდებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლებრივ თანხმობაზე, ასეთი თანხმობა განხილულ უნდა იქნეს როგორც ციფრული შინაარსის მიწოდების საფასური და, შესაბამისად, ასეთი მიწოდება არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც ჩუქება[34].

რაც შეეხება თხოვებას, რომელიც სსკ-ს 615-ე მუხლის თანახმად, თხოვების ხელშეკრულებით გამნათხოვრებელი კისრულობს ვალდებულებას გადასცეს მონათხოვრეს ქონება დროებით უსასყიდლო სარგებლობისათვის. აღნიშნული მუხლი პირდაპირ გვამცნობს, რომ თხოვების ხელშეკრულება არის უსასყიდლო ხელშეკრულება.

პერსონალურ მონაცემთა სანაცვლოდ ციფრული შინაარსის მიწოდების შესახებ ხელშეკრულება შეიძლება ჩაითვალოს თხოვებად, როდესაც მომხმარებელს ციფრული შინაარსი გადაეცემა დროებითი სარგებლობისთვის და, მსგავსად ჩუქებისა, მიმწოდებელი მომხმარებლისგან მოითხოვს პერსონალური მონაცემების გადაცემას და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლით ასეთი გადაცემისთვის საჭირო არ არის მონაცემთა სუბიექტის თანხმობის მიღება. თუკი კანონმდებლობა არ შეიცავს ასეთ მონაცემთა დამუშავების ნებართვას, პერსონალურ მონაცემთა გადაცემა განიხილება სანაცვლო შესრულებად, რაც გამორიცხავს ხელშეკრულების უსასყიდლობას.

3. მიმწოდებლის პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი ნორმები

პერსონალური მონაცემების სანაცვლოდ ციფრული შინაარსის მიწოდების შესახებ ხელშეკრულების სასყიდლიანობა-უსასყიდლობის პრობლემატიკა განსაკუთრებით

[33]Faust F., Digitale Wirtschaft – Analoges Recht: Braucht das BGB ein Update? – Gutachten zum 71. Deutschen Juristentag, 15.
[34]იქვე

მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ დადგინდეს რომელი ნორმები გამოიყენება მიმწოდებლის პასუხისმგებლობის განსასაზღვრავად.

აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით. ვინაიდან ნაშრომში განხილული ხელშეკრულების ჩუქების ან თხოვების ხელშეკრულებად დაკვალიფიცირების შემთხვევაში გამჩუქებლის/გამნათხოვრებლის პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობისთვის, მონაცემთა სუბიექტს რჩება ნაკლები ბერკეტი სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში დაიცვას საკუთარი ინტერესები და უფლებები. კერძოდ კი სსკ-ს ჩუქების თავში გათვალისწინებულია გამჩუქებლის მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ბოროტი განზრახვით ნივთის ნაკლის დამალვისთვის (სსკ, მუხლი 527). ამდენად, მისი პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი დადგინდება გამჩუქებლის „ბოროტი განზრახვა“, მაშინ, როცა ნასყიდობის შემთხვევაში ნივთის ნაკლოვანებისას მყიდველს წარმოეშობა მთელი რიგი უფლებებისა, რომელიც არ არის დამოკიდებული გამყიდვლის განზრახვაზე: ნაკლის გამოსწორების მოთხოვნის (სსკ, მუხლი 490.1), გვაროვნული ნივთის შემთხვევაში კი - შეცვლის მოთხოვნის (სსკ, მუხლი 490.2), ხელშეკრულების მოშლის (სსკ, მუხლი 491.1), გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის (სსკ, მუხლი 491.2), ფასის შემცირების მოთხოვნის (სსკ, მუხლი 492) და ნივთის მიღებაზე უარის თქმის უფლებები (სსკ, მუხლი 493). გამომდინარე აქედან, ცხადია, რომ სასყიდლიანი ხელშეკრულებების შემთხვევაში მოვალისთვის სსკ-ს მიერ დადგენილი პასუხისმგებლობა უფრო მაღალია, ვიდრე უსასყიდლო ხელშეკრულებების შემთხვევაში. ვინაიდან, უსასყიდლო შესრულებისგან განსხვავებით, სასყიდლიანი შესრულების დროს მოვალე სანაცვლოდ ელის ეკონომიკურ სარგებელს, ციფრული შინაარსის მიწოდების შესახებ სასყიდლიან ხელშეკრულებებთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის ზომები არ უნდა აჭარბებდეს უსასყიდლო ხელშეკრულებებისთვის, როგორიცაა ჩუქება და თხოვება, გათვალისწინებული პასუხისმგებლობის მასშტაბს[35].

სსკ-ში პასუხისმგებლობის საკითხი მოწესრიგებულია სპეციალურად, კონკრეტულ ხელშეკრულებებთან მიმართებით. ამდენად, ციფრული შინაარსის მიმწოდებლის პასუხისმგებლობა დამოკიდებულა იმაზე, შესაძლებელია თუ არა წინამდებარე ხელშეკრულების სსკ-ს რომელიმე ხელშეკრულების ტიპად კვალიფიცირება, რომელისთვისაც გათვალისწინებულია პასუხიმგებლობის კონკრეტული ნორმები.

როგორც წინა ქვეთავში დავადგინეთ, პერსონალურ მონაცემთა სანაცვლოდ ციფრული შინაარსის მიწოდების შესახებ ხელშეკრულების შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლით გათვალისწინებული მონაცემთა დამუშავების ნებართვის პირობები, სახეზეა არა უსასყიდლო, არამედ სასყიდლიანი

[35]Grimm A., Schmidt-Kessel M., Unentgeltlich oder entgeltlich? – Der vertragliche Austausch von digitalen Inhalte gegen personenbezogene Daten, ZfPW 2017, 84, 101.

ხელშეკრულება. ამიტომაც სსკ-ს უსასყიდლო ხელშეკრულების ტიპებისთვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ნორმები არ გამოიყენება მოცემულ შემთხვევაში, განსაკუთრებით მაშინ, როცა პერსონალური მონაცემების მოხმარების უფლებამოსილება მიღებულია მონაცემთა სუბიექტის თანხმობით[36].

[36]იქვე

III. პერსონალური მონაცემები როგორც სანაცვლო შესრულება

პერსონალური მონაცემების სანაცვლოდ ციფრული შინაარსის მიწოდების შესახებ ხელშეკრულებაში მიმწოდებელი ითხოვს პერსონალური მონაცემების გადაცემას, როგორც ციფრული შინაარსის გადაცემის წინაპირობას, ხშირ შემთხვევაში, მონაცემთა სუბიექტის გაცნობიერებისა და ცოდნის გარეშე[37]. ამგვარი სახელშეკრულებო ურთიერთობების განხილვისას ხშირად პერსონალური მონაცემების გადაცემა არ განიხილება როგორც სახელშეკრულებო ვალდებულება, რის შედეგადაც ასეთი ხელშეკრულებები შეცდომით განიხილება როგორც უსასყიდლო. ამიტომაც პერსონალური მონაცემების ასეთი გადაცემის დროს არ გამოიყენება სახელწოდებები „ანაზღაურება“ ან „სანაცვლო შესრულება“[38].

პერსონალური მონაცემების სანაცვლოდ ციფრული შინაარსის მიწოდების შესახებ ხელშეკრულებების სასყიდლიანობის დასადგენად მნიშვნელოვანია დავადგინოთ, შესაძლებელია თუ არა პერსონალური მონაცემები განხილულ იქნეს როგორც „სანაცვლო შესრულება“ სამოქალაქო სამართლებრივი მნიშვნელობით. აქვე განვიხილავთ პერსონალური მონაცემებისა და ფულის გათანაბრების პრობლემატიკას.

1. პერსონალური მონაცემების ცნება

„პერსონალური მონაცენები“ განმარტებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტში, რომლის მიხედვითაც, პერსონალური მონაცემი არის „ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით“.

„პერსონალური მონაცემის“ ცნება ფართოდ არის მოწესრიგებული რეგულაციაში, რომლის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით მოიცავს ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც ეხება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს.

ზემოთ მოყვანილი განმარტებების საფუძველზე, პერსონალურ მონაცემთა ცნებიდან გამოიყოფა ოთხი ძირითადი/ფუნდამენტური ელემენტი: ნებისმიერი ინფორმაცია, პირთან პირდაპირი ან არაპირდაპირი კავშირი, იდენტიფიცირება ან იდენტიფიცირებადობა და

[37]European Data Protection Supervisor, Opinion 4/2017 on the Proposal for a Directive on certain aspects concerning contracts for the supply of digital content, 14 March 2017, Rn. 15.
[38]Langhanke C., Schmidt-Kessel M., Consumer Data as Consideration, EuCML 2015, 218, 218.

ფიზიკური პირი[39]. იმისათვის, რომ სწორად გაირკვეს, რას წარმოადგენს პერსონალური მონაცემები, აუცილებელია მოხდეს ზემოთ აღნიშნული თითოეული კომპონენტის ანალიზი.

დეფინიციაში აღნიშნული „ნებისმიერი ინფორმაცია“ მოიცავს პირის შესახებ „ობიექტურ“ ინფორმაციას, როგორიცაა პირადი ინფორმაცია (სახელი, დაბადების ადგილი, დაბადების თარიღი და ა.შ.) და გარეგნულ მახასიათებლებს (სახე, კანის ფერი, თვალის ფერი და ა.შ.), ასევე „სუბიექტურ“ ინფორმაციას, როგორიცაა, მაგალითად, მოსაზრებები ან შეფასებები[40]. მოცემული ინფორმაციის სიმართლე ან სიმცდარე, ასევე მისი შინაარსი და ფორმატი არარელევანტურია, მთავარია ის, რომ ინფორმაცია პირთან არის დაკავშირებული[41]. „ყველა ინფორმაცია“ ასევე მოიცავს ისეთ ბიომეტრიულ მონაცემებს, როგორიცაა თითის ანაბეჭდები, თვალის ბადურა და ა.შ., რადგან ისინი დამოუკიდებლად ან დამატებითი ინფორმაციის გამოყენების გზით პირის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევიან[42].

გარდა ზემოთქმულისა, ინფორმაცია უნდა იყოს კონკრეტულ პირთან კავშირში. ევროკავშირის 29-ე მუხლის სამუშაო ჯგუფის[43] კვლევის მიხედვით „მონაცემები დაკავშირებულია კონკრეტულ პირთან, როდესაც ისინი ეხება ამ პირის იდენტობას, მახასიათებლებს ან ქცევას ან როდესაც ისინი გამოიყენება იმისთვის, რომ გავლენა მოახდინოს პირის მოპყრობის ან შეფასების გზებზე“[44]. ამდენად, მატერიალური როგორც პერსონალური მონაცემის განხილვისთვის საჭიროა შემდეგი სამი ელემენტიდან ერთ-ერთი მაინც არსებობდეს: 1. შინაარსის ელემენტი; 2. მიზნის ელემენტი ან 3. შედეგის ელემენტი[45]. შინაარსის ელემენტი სახეზეა, როდესაც მოცემული ინფორმაცია ერთ გარკვეულ პირს ეხება, იმისგან დამოუკიდებლად, თუ რა მიზანი აქვს მონაცემების დამმუშავებლის ან მესამე პირის და როგორ გავლენას ახდენს მონაცემების დამუშავება მონაცემთა

---

[39] ბიჭია მ., პერსონალური მონაცემების კერძოსამართლებრივი დაცვის პრობლემა ინტერნეტსამყაროში, VIII საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია inso-2017, გვ. 36; ARTICLE 29 Data Protection Working Party, Opinion 4/2007 on the concept of personal data WP 136, 20 June 2007, 6;

[40] Heidelberger Kommentar zum Datenschutz-Grundverordnung / Bundesdatenschutzgesetz: Hrsg. Jaspers, A., Kugelmann, D., Schwartmann, R., Thüsing G., Heidelberg 2018, Art. 4 DS-GVO Rn. 14; ARTICLE 29 Data Protection Working Party, Opinion 4/2007 on the concept of personal data WP 136, 20 June 2007, 7;

[41] სხირტლაძე ნ., პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლებრივი ასპექტები, თბილისი 2017, 26; Heidelberger Kommentar zum Datenschutz-Grundverordnung / Bundesdatenschutzgesetz: Hrsg. Jaspers, A., Kugelmann, D., Schwartmann, R., Thüsing G., Heidelberg 2018, Art. 4 DS-GVO Rn. 15.

[42]ARTICLE 29 Data Protection Working Party, Opinion 4/2007 on the concept of personal data WP 136, 20 June 2007, 9.

[43] ARTICLE 29 Data Protection Working Party

[44]იქვე

[45] Heidelberger Kommentar zum Datenschutz-Grundverordnung / Bundesdatenschutzgesetz: Hrsg. Jaspers, A., Kugelmann, D., Schwartmann, R., Thüsing G., Heidelberg 2018, Art. 4 DS-GVO Rn. 18; ARTICLE 29 Data Protection Working Party, Opinion 4/2007 on the concept of personal data WP 136, 20 June 2007, 11.

სუბიექტზე[46]. მიზნის ელემენტი მაშინ არის მოცემული, როცა ჩნდება შესაძლებლობა, პერსონალური მონაცემები გამოყენებულ იქნეს პირის შეფასების, რაიმე გზით მოპყრობის ან მასზე გავლენის მოხდენის მიზნით[47]. დაბოლოს, შედეგის ელემენტი მოცემულია მაშინ, როცა ინფორმაციამ, ყველა არსებული გარემოების გათვალისწინებით, შესაძლოა გავლენა იქონიოს კონკრეტული პირის უფლებებსა და ინტერესებზე[48].

ამასთანავე, ინფორმაცია უნდა ეხებოდეს იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. რეგულაციის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით „იდენტიფიცირებადი ფიზიკური პირი არის ის, ვისი პირდაპირ ან არაპირდაპირ იდენტიფიცირებაც შესაძლებელია ისეთი იდენტიფიკატორის გამოყენებით, როგორიცაა სახელი, პირადი ნომერი, ინფორმაცია ადგილმდებარეობის შესახებ, ონლაინ იდენტიფიკატორი ან ფიზიკური პირის იდენტობისათვის დამახასიათებელი ერთი ან მეტი ფიზიკური, ფსიქოლოგიური, გენეტიკური, გონებრივი, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ფაქტორით“. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ იდეტიფიცირებულია პირი, როდესაც მისი იდენტობა მოცემული ინფორმაციიდან პირდაპირ გამომდინარეობს[49], ხოლო იდეტიფიცირებადია ფიზიკური პირი მაშინ, როცა მოცემული ინფორმაცია საკმარისი არ არის მისი იდენტობის დასადგენად, თუმცა შესაძლებელი ხდება დამატებითი ინფორმაციის დახმარებითა და დაკავშირებით[50].

იდენტიფიცირებადობასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ასევე პირის იდენტიფიცირებისთვის საჭირო ცნობების მოპოვების სირთულე[51]. რეგულაციის პრეამბულის 26-ე პუნქტის მე-3 წინადადების თანახმად, იდენტიფიცირებადობის დადგენის დროს „მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყველა გონივრული შესაძლო საშუალება, რაც შესაძლოა გამოყენებული იქნეს მონაცემთა დამმუშავებლის ან სხვა პირის მიერ პირის პირდაპირი ან არაპირდაპირი იდენტიფიცირების მიზნით.“ საშუალებები, რომლებიც გონივრულად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს იდენტიფიცირებისთვის, რეგულაციის პრეამბულის 26-ე პუნქტის მე-4 წინადადების მიხედვით, არის ყველა ფაქტორი, როგორიცაა იდენტიფიცირებისთვის საჭირო ხარჯები და დრო, ასევე

[46]Klar M., Datenschutzrecht und die Visualisierung des öffentlichen Raums, Regensburg, 2012, 137; Klar M., Kühling J., Sackmann F., Datenschutzrecht, 4. Aufl., Regensburg u. a. 2018, 146; ARTICLE 29 Data Protection Working Party, Opinion 4/2007 on the concept of personal data WP 136, 20 June 2007, 11.

[47]იქვე

[48]იქვე

[49]Klar M., Kühling J., Sackmann F., Datenschutzrecht, 4. Aufl., Regensburg u. a. 2018, 147.

[50] Heidelberger Kommentar zum Datenschutz-Grundverordnung / Bundesdatenschutzgesetz: Hrsg. Jaspers, A., Kugelmann, D., Schwartmann, R., Thüsing G., Heidelberg 2018, Art. 4 DS-GVO Rn. 21.

[51]Buchner B., Hof H., Petri T., Tinnefeld M., Einführung in das Datenschutzrecht – Datenschutz und nformationsfreiheit in europäischer Sicht, 6. Aufl., Berlin 2018, 615.

ხელმისაწვდომი ტექნოლოგიები და ტექნოლოგიური განვითარება, რაც არ წარმოადგენს ამომწურავ ჩამონათვალს[52].

პირის იდენტიფიცირებადობასთან დაკავშირებით, ხშირად ისმის კითხვა, ეხება თუ არა რეგულაცია ასევე ანონიმურ და ფსევდონიმიზირებულ მონაცემებს. რეგულაციის პრეამბულის 26-ე პუნქტის მე-5 წინადადება განმარტავს ანონიმურ მონაცემებს, როგორც ინფორმაციას, რომელიც არ ეხება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს, ან პერსონალური მონაცემებს, რომელიც ანონიმიზირებულია იმგვარად, რომ მონაცემთა სუბიექტის იდენტიფიცირება შეუძლებელია და ამით აღარ არსებობს პირთან კავშირის ელემენტი[53]. რაც შეეხება ფსევდონიმიზირებულ მონაცემებს, რომლებიც შესაძლოა იდენტიფიცირებულ იქნეს სხვა დამატებით ინფორმაციასთან დაკავშირების ან დახმარების გზით, რეგულაციის პრეამბულის 26-ე პუნქტის მე-2 წინადადების თანახმად, ასეთი მონაცემები განიხილება როგორც იდენტიფიცირებადი ფიზიკური პირის შესახებ ინფორმაცია.

და ბოლოს, პერსონალური მონაცემები მოიცავს მხოლოდ ფიზიკური პირების შესახებ ინფორმაციას[54]. იურიდიული პირები მხოლოდ მაშინ ექცევიან დაცულ სფეროში, როდესაც საქმე ეხება პირთა ჯგუფის იდენტიფიცირებადი წევრის შესახებ ინფორმაციას[55].

გარდა ამისა, გარდაცვლილი პირის პერსონალური მონაცემების დამუშავებაც არ არის დაცული რეგულაციის პრეამბულის 27-ე პუნქტის 1-ლი წინადადების თანახმად. იმ შემთხვევაში, თუ გარდაცვლილი პირის პერსონალური მონაცემები კავშირშია ცოცხალ პირთან და ამით პირთან კავშირის ელემენტი სახეზეა, რეგულაციის დანაწესების გავრცელება შესაძლებელია[56].

რაც შეეხება ჯერ კიდევ დაუბადებელი ბავშვის პერსონალურ მონაცემებს, აღნიშნულს რეგულაცია არ აწესრიგებს. თუმცა უნდა მივიჩნიოთ, რომ დაუბადებელი ბავშვის პერსონალურ მონაცემებს ჯერ კიდევ არ აქვს პირთან კავშირის ელემენტი, რადგან რეგულაცია ეხება ძირითადად მომხმარებელთა უფლებებს, რომელთა გამოყენებაც მხოლოდ ცოცხალ ადამიანს შეუძლია[57].

---

[52] Heidelberger Kommentar zum Datenschutz-Grundverordnung / Bundesdatenschutzgesetz: Hrsg. Jaspers, A., Kugelmann, D., Schwartmann, R., Thüsing G., Heidelberg 2018, Art. 4 DS-GVO Rn. 22.

[53]Buchner B., Hof H., Petri T., Tinnefeld M., Einführung in das Datenschutzrecht – Datenschutz und nformationsfreiheit in europäischer Sicht, 6. Aufl., Berlin 2018, 625-626;

[54]Datenschutz-Grundverordnung / BDSG – Kommentar, Hrsg. Buchner, B., Kühling J., 2. Aufl., München 2018, Rn. 3.

[55] იქვე, Rn. 4.

[56] Heidelberger Kommentar zum Datenschutz-Grundverordnung / Bundesdatenschutzgesetz: Hrsg. Jaspers, A., Kugelmann, D., Schwartmann, R., Thüsing G., Heidelberg 2018, Art. 4 DS-GVO Rn. 12.

[57] Heidelberger Kommentar zum Datenschutz-Grundverordnung / Bundesdatenschutzgesetz: Hrsg. Jaspers, A., Kugelmann, D., Schwartmann, R., Thüsing G., Heidelberg 2018, Art. 4 DS-GVO Rn. 13.

2. პერსონალური მონაცემები როგორც ახალი ვალუტა

ინტერნეტში დადებული ბევრი ხელშეკრულება, როგორც აღინიშნა, პერსონალური მონაცემების სანაცვლოდ იდება. ამიტომ მათ ხშირად „ინტერნეტის ვალუტას“ უწოდებენ. ეს არა მხოლოდ პერსონალური მონაცემების მაღალ ღირებულებაზე მიუთითებს, არამედ პერსონალური მონაცემების ფულთან გაიგივების შეცდომაზეც[58]. ამიტომაც, ქვევით განხილულ იქნება საკითხი, შესაძლებელია თუ არა პერსონალური მონაცემების ფულთან გაიგივება.

2.1. ფულისა და პერსონალური მონაცემების შედარება

ფულისა და პერსონალური მონაცემების ერთმანეთთან შედარებისთვის, პირველ რიგში დადგენილ უნდა იქნეს, ზოგადად, რა არის ფული. ფულის ერთიანი ცნება არ არსებობს[59]. ზოგადად, ფული შესაძლებელია იყოს ყველაფერი, რაც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სამოქალაქო ბრუნვაში ფულადი ვალდებულებების შესასრულებლად. ფული ასრულებს შემდეგ ძირითად ფუნქციებს: გადახდის საშუალება, ღირებულების შენახვის საშუალება და ღირებულების საზომი[60]. ფული არის გადახდის საშუალება, რამდენადაც ის ღირებულების მქონე საყოველთაო გაცვლის საშუალების როლს ასრულებს, რომელსაც ყველა ენდობა.[61] ამით ფული აადვილებს ნივთების გაცვლას. ფული ასევე წარმოადგენს ღირებულების საზომს, ვინაიდან ის საზომ მასშტაბს ადგენს და მისი დახმარებით ნივთები და მომსახურება შესაძლოა გარკვეული ფასით იქნეს შეთავაზებული. დაბოლოს, ფული არის ღირებულების შენახვის საშუალება, რამდენადაც ის შესაძლებელს ხდის საკუთრების ღირებულების შენარჩუნებას დანაკარგის გარეშე[62]. წინამდებარე ფუნქციების შესასრულებლად ფულს უნდა ჰქონდეს შემდეგი მახასიათებლები და ნიშნები: შეზღუდული რაოდენობა, გამძლეობა, გაყოფადობა, პორტატულობა და საყოველთაო მიღება[63].

პერსონალური მონაცემების შემთხვევაში სახეზე გვაქვს მხოლოდ გაყოფადობისა და პორტატულობის ნიშნები: პერსონალური მონაცემი არის გაყოფადი, რადგან გადაცემის

---

[58]Körber T., Konzeptionelle Erfassung digitaler Plattformen und adäquate Regulierungsstrategien, ZUM 2017, 93, 97.

[59]Omlor S., Geldprivatrecht Entmaterialisierung, Europäisierung, Entwertung, Hamburg 2014, 70.

[60]ბვენეტაძე ლ., ფინანსების ზოგადი თეორია, თბილისი 2007, გვ. 8; Helmedag F., Geld: Einführung und Überblick, Knapps Enzyklopädisches Lexikon des Geld-, Bank- und Börsenwesens, Frankfurt am Main, Artikel Nr. 4390, 2007, 1.

[61] სახელშეკრულებო სამართალი - სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის, რედ. ჯუღელი გ., თბილისი 2014, 248.

[62]Europäische Zentralbank: Was ist Geld?, <https://www.ecb.europa.eu/explainers/tell-me-more/html/what_is_money.de.html> (20.06.2017).

[63]Eigenschaften des Geldes, <http://www.berufliches-gymnasium-kiel.de/VWLProjekt/merkmale-des-geldes>.

შედეგად ის არ კარგავს თავდაპირველ თვისებებს. ის ასევე არის პორტატული, ვინაიდან მისი გადატანა დაბრკოლების გარეშე შესაძლებელია ინტერნეტის ან მატერიალური მატარებლის საშუალებით. მიუხედავად ამისა, პერსონალურ მონაცემებს არ გააჩნია ფულის ყველა მახასიათებელი. სახელდობრ, პრობლემატურია პერსონალური მონაცემების შეზღუდული რაოდენობა, რადგან ის ამოუწურავია და მისი გამრავლება შესაძლებელია შეუზღუდავად ისე, რომ ერთდროულად რამოდენიმე მეწარმეს შეუძლია მისი სარგებლობა[64]. გარდა ამისა, მისი გადაცემა შესაძლებელია ერთდროულად მრავალი პირისთვის მაშინ, როცა ფულის გაცემა მხოლოდ ერთხელ არის შესაძლებელი[65]. პერსონალური მონაცემების დაძველება შესაძლოა პრობლემატური გახდეს მისი შენახვადობისთვის. მართალია შეუძლებელია ის იყოს ვადაგასული, მაგრამ დროთა განმავლობაში შესაძლოა დაკარგოს ან შეიძინოს უფრო დიდი ღირებულება. ასევე სადავოა პერსონალური მონაცემების, როგორც გაცვლის საშუალების საყოველთაო მიღება.

ზემოთ მოცემული ანალიზიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პერსონალურ მონაცემებს არ შეუძლიათ ფულის ყველა მნიშვნელოვანი ფუნქციის შესრულება. კერძოდ, პერსონალური მონაცემები მათი დაძველებისა და ღირებულების დაკარგვის გამო შეუძლებელია იყოს ღირებულების შენახვის საშუალება. ასევე ღირებულების საზომის ფუნქცია არის პრობლემატური, რადგან ჯერ კიდევ არ არსებობს პერსონალური მონაცემების ღირებულების გამოთვლის გადაწყვეტა.

პერსონალური მონაცემების ფულთან გაიგივების კიდევ ერთ წინააღმდეგობას წარმოადგენს მონაცემებზე საკუთრების სამართლებრივი რეგულირების ბუნდოვანება[66]. პერსონალურ მონაცემთა დაცვა საკუთრების შესახებ სანივთო სამართლებრივი ნორმებით ერთი შეხედვით არ არის გამორიცხული, ვინაიდან ის წარმოადგენს ინფორმაციას, რომელიც ექცევა საკუთრების უფლების ობიექტის ცნებაში. შესაბამისად, პერსონალური მონაცემები ითვლება მონაცემთა სუბიექტის საკუთრებად[67]. თუმცა აღსანიშნავია, რომ პერსონალური მონაცემი დაკავშირებულია კონსტიტუციით დაცულ პირადი ხასიათის უფლებასთან - პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლება, რომლის მიზანია პირადი ხასიათის ინფორმაციის საიდუმლოების დაცვა და ნაკლებად არის მიმართული საკუთრების უფლების დაცვისკენ. შესაბამისად, ნათელია, რომ პერსონალური მონაცემების მიმართ საკუთრების უფლების სრულფასოვანი გამოყენება არ არის შესაძლებელი.

---

[64]European Data Protection Supervisor, Opinion 4/2017 on the Proposal for a Directive on certain aspects concerning contracts for the supply of digital content, 14 March 2017, 9; Körber T., Konzeptionelle Erfassung digitaler Plattformen und adäquate Regulierungsstrategien, ZUM 2017, 93, 97.

[65]იქვე

[66]იქვე

[67]სხირტლაძე ნ., პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლებრივი ასპექტები, თბილისი 2017, 174.

საბოლოო ჯამში, პერსონალური მონაცემის ფულთან გაიგივება და ასევე მისთვის „ვალუტის“ წოდება შეცდომაში შემყვანია ფიზიკური პირისთვის[68]. მომხმარებელმა ზუსტად იცის ფულის ღირებულება, რასაც ვერ ვიტყვით პერსონალურ მონაცემებზე[69]. პერსონალულ მონაცემთა ღირებულების დადგენის მექანიზმი ჯერ კიდევ არ შემუშავებულა კანონმდებლის მიერ.

2.2. პერსონალურ მონაცემთა დაცვა ფულთან მიმართებაში

პერსონალურ მონაცემთა ფულთან გაიგივებაზე მსჯელობის დროს, ასევე საყურადღებოა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის რეგულაციები, კერძოდ კი აუცილებელია დადგინდეს, იძლევა თუ არა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალი სამოქალაქო ურთიერთობებში პერსონალურ მონაცემთა ფულის მსგავსად გამოყენების შესაძლებლობას.

ქართულ კანონდმებლობაში პერსონალური მონაცემების დაცვის საფუძველს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის მე-15 და მე-18 მუხლები, რომლებიც ითვალისწინებენ ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, საჯარო დაწესებულებაში მასზე არსებული ინფორმაციის გაცნობის უფლებებს, ასევე სახელმწიფოს ვალდებულებას, დაიცვას ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ჯანმრთელობასთან, ფინანსებთან ან სხვა პირად საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია. სწორედ ამ ძირითადი უფლებების განვრცობას და უფრო ამომწურავად დაცვას ემსახურება საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“.

ევროპის კანონმდებლობაში აღნიშნული ძირითადი უფლების დაცვა სათავეს იღებს ძირითად უფლებათა ევროპული კავშირის ქარტიით (შემდგომში - ქარტია). ქარტიის მე-8 მუხლი ადგენს პერსონალური მონაცმების დაცვის ვალდებულებას, მონაცემთა დაცვის საკვანძო პრინციპებსა და ამ პრინციპების იმპლემენტაციის უზრუნველყოფას დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანოს მიერ.[70]

ევროპის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ზედამხედველის 4/2017 მოსაზრების მიხედვით, არ შეიძლება პერსონალური მონაცემები მოპყრობილ იქნეს როგორც საგანი, რადგან ისინი კავშირში არიან ადამიანის ისეთ ძირითად უფლებასთან, როგორიცაა პერსონალური მონაცემების დაცვა[71]. მიუხედავად ამისა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის

---

[68]European Data Protection Supervisor, Opinion 4/2017 on the Proposal for a Directive on certain aspects concerning contracts for the supply of digital content, 14 March 2017, 9.

[69]იქვე

[70] მონაცემთა დაცვის ევროპული სამართალი, მთარგმნელი გოშაძე კ., რედ. ბეგიაშვილი მ., თბილისი 2015, 28.

[71]European Data Protection Supervisor, Opinion 4/2017 on the Proposal for a Directive on certain aspects concerning contracts for the supply of digital content, 14 March 2017, 7.

სამართალი არ ეწინააღმდეგება პერსონალური მონაცემების კომერციალიზაციას. ქარტიის მე-8 მუხლი არ უკრძალავს მონაცემთა სუბიექტს ისეთი გარიგება დადოს, სადაც ის მიმწოდებელს სანაცვლო შესრულებად პერსონალურ მონაცემებს გადასცემს[72]. ადამიანის უფლებების გაუსხვისებადი ბუნების მიუხედავად, მისი გამოყენება შესაძლებელია სარგებლობის უფლების გადაცემის გზით[73]. მონაცემთა სუბიექტის მიერ გაცემული თანხმობა წარმოადგენს პერსონალური მონაცემების დამუშავების და სარგებლობის პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლებრივ საფუძველს. თანხმობისთვის პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლით დადგენილი წინაპირობების მიუხედავად, პერსონალური მონაცემი შესაძლებელია გახდეს სახელშეკრულებო ვალდებულების საგანი[74].

ქარტის მე-8 მუხლი და საქართველოს შიდასახელწიფოებრივი კანონმდებლობა ზღუდავს მხარეთა კერძო ავტონომიას[75]. იმისათვის, რომ პერსონალური მონაცემები განხილულ იქნეს როგორც სანაცვლო შესრულება, საკმარისი არ არის პერსონალური მონაცემების გადაცემა. რეგულაციის მე-6 მუხლი ადგენს პერსონალურ მონაცემთა კანონიერი დამუშავების წინაპირობებს, რომლის მიხედვითაც პერსონალურ მონაცემთა დამუშავების საფუძვლები შესაძლებელია განაწილდეს ორ ჯგუფად: ა) მონაცემთა სუბიექტის თანხმობა (რეგულაციის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი) ან ბ) სხვა კანონით ნებადართული საფუძვლები (რეგულაციის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“-„ვ“ ქვეპუნქტები) [76].

საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ამომწურავად ადგენს პერსონალურ მონაცემთა კანონიერი დამუშავების საფუძვლებს. კერძოდ, მე-5 მუხლის თანახმად, პერსონალურ მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ: 1. არსებობს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა; 2. მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით; 3. მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად; 4. მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა სუბიექტის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად; 5. მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა დამმუშავებლის ან მესამე პირის კანონიერი ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი; 6. კანონის

[72]Langhanke C., Schmidt-Kessel M., Consumer Data as Consideration, EuCML 2015, 218, 221; Unseld F., Die Übertragbarkeit von Persönlichkeitsrechten, GRUR 2011, 981, 981.

[73]Grimm A., Schmidt-Kessel M., Unentgeltlich oder entgeltlich? – Der vertragliche Austausch von digitalen Inhalte gegen personenbezogene Daten, ZfPW 2017, 84, 90.

[74]Grimm A., Schmidt-Kessel M., Unentgeltlich oder entgeltlich? – Der vertragliche Austausch von digitalen Inhalte gegen personenbezogene Daten, ZfPW 2017, 84, 90; Langhanke C., Schmidt-Kessel M., Consumer Data as Consideration, EuCML 2015, 218, 221.

[75]Langhanke C., Schmidt-Kessel M., Consumer Data as Consideration, EuCML 2015, 218, 221.

[76]Grimm A., Schmidt-Kessel M., Unentgeltlich oder entgeltlich? – Der vertragliche Austausch von digitalen Inhalte gegen personenbezogene Daten, ZfPW 2017, 84, 90.

თანახმად, მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომია ან მონაცემთა სუბიექტმა ისინი ხელმისაწვდომი გახადა; 7. მონაცემთა დამუშავება აუცილებელია კანონის შესაბამისად მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად; 8. მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად (მისთვის მომსახურების გასაწევად). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი უახლესი გადაწყვეტილებით 2020 წლის პირველი მაისიდან ძალადაკარგულად ცნო მოცემული მუხლის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავს ღია სასამართლო სხდომის შედეგად მიღებული სასამართლო აქტების სრული ტექსტის საჯარო ინფორმაციის სახით გაცემას[77].

პერსონალური მონაცემების სანაცვლოდ ციფრული შინაარსის გადაცემის შესახებ ხელშეკრულებებთან მიმართებით, საინტერესოა რეგულაციის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის დანაწესი, რომლის მიხედვითაც მონაცემთა დამუშავება კანონიერია მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა სუბიექტთან სამართლებრივი გარიგების ან სამართლებრივი გარიგების მსგავსი ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობის დამყარების, განხორციელების ან დასრულებისთვის და როცა მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის მიერ დადებული ხელშეკრულების შესასრულებლად, ან სუბიექტის თხოვნით ხელშეკრულების გაფორმებამდე გარკვეული ზომების მისაღებად; მოცემული დებულება არ მოიცავს პერსონალურ მონაცემებს, რომლებიც ხელშეკრულების სანაცვლო შესრულებისთვის იქნა გადაცემული.

ზემოთ მოყვანილი ნორმების მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ წინამდებარე ნაშრომში განხილული ხელშეკრულებები არ შედის კანონით გათვალისწინებულ მონაცემთა დამუშავების საფუძვლებში[78].

რაც შეეხება მონაცემთა სუბიექტის თანხმობას, მისი არსებობა სავალდებულოა პერსონალური მონაცემების კანონიერი მოპოვებისა და დამუშავებისთვის, თუკი დამუშავების კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველი არ არის სახეზე[79]. თანხმობა ყოველთვის გაცემულ უნდა იქნეს კონკრეტული მიზნით[80]. პერსონალური მონაცემების გამოყენება არა იმ მიზნით, რომლისთვისაც ის იყო გადაცემული, დასაშვებია მხოლოდ

[77]საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება №1/4/693,857.

[78]Grimm A., Schmidt-Kessel M., Unentgeltlich oder entgeltlich? – Der vertragliche Austausch von digitalen Inhalte gegen personenbezogene Daten, ZfPW 2017, 84, 91.

[79]Erler K., Grimm, A., Kramme M., Schmidt-Kessel M., Die Richtlinienvorschläge der Kommission zu Digitalen Inhalten und Online-Handel – Teil 2, GPR 2/2016, 54, 58.

[80]Grimm A., Schmidt-Kessel M., Unentgeltlich oder entgeltlich? – Der vertragliche Austausch von digitalen Inhalte gegen personenbezogene Daten, ZfPW 2017, 84, 92; Metzger A., Dienst gegen Daten: Ein synallagmatischer Vertrag, AcP 216, 817, 825.

მაშინ, როცა ეს დაშვებულია კანონით ან მონაცემთა სუბიექტი ხელახლა გასცემს თანხმობას[81].

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, თანხმობა არის მონაცემთა სუბიექტის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ მის შესახებ მონაცემთა განსაზღვრული მიზნით დამუშავებაზე ზეპირად, სატელეკომუნიკაციო ან სხვა შესაბამისი საშუალებით გამოხატული ნებაყოფლობითი თანხმობა, რომლითაც შესაძლებელია ნათლად დადგინდეს მონაცემთა სუბიექტის ნება. ამდენად, მონაცემთა სუბიექტის თანხმობის ნამდვილობისთვის აუცილებელია ნებაყოფლობითობა, ინფორმირებულობა და კონკრეტულობა რაც პერსონალური მონაცემების მოპოვებისა და დამუშავების საფუძველია[82]. მონაცემთა სუბიექტი წინასწარ ინფორმირებული უნდა იყოს კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე აუცილებლობის ან მოთხოვნის საფუძველზე პერსონალურ მონაცემთა მოპოვებაზე, დამუშავებზე ან სარგებლობაზე განსაზღვრული მიზნით გაცემული თანხმობის გამოთხოვის სამართლებრივ შედეგებზე.

თანხმობა მაშინ არ შეიძლება ჩაითვალოს ნებაყოფლობითად, როდესაც მონაცემთა სუბიექტის პერსონალური მონაცემების გადაცემის გარდა სხვა ალტერნატივა არ გააჩნია[83]. კერძოდ, თანხმობის ნებაყოფლობითობის პრობლემატიკა ყველაზე მეტად რელევანტურია მაშინ, როცა საკითხი ეხება კითხვას, მონაცემთა სუბიექტი იძულებელი არის თუ არა გასცეს თანხმობა პერსონალური მონაცემების სანაცვლოდ ციფრული შინაარსის მიწოდების შესახებ ხელშეკრულების შემთხვევაში[84]. მიმწოდებლის მიერ ციფრული შინაარსის მიწოდების დაკავშირებას მიმღების მიერ თავისი პერსონალური მონაცემებით „გადახდასთან“ ყველა შემთხვევაში არ მივყავართ იძულების მდგომარეობამდე, მანამ, სანამ მონაცემთა სუბიექტი ეგზისტენციალურად არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების საგანზე[85]. ასეთი საგამონაკლისო შემთხვევა შესაძლოა მოცემული იყოს მაშინ, როდესაც მონაცემთა სუბიექტს (1) სხვადასხვა მსგავსი შეთავაზებებიდან არჩევანის გაკეთება შეუძლია; (2) აქვს იმის თავისუფლება, რომ არ მიიღოს შეთავაზებული შესრულება; (3) შესრულების მიღება შეუძლია არა პერსონალური მონაცემების, არამედ ფულის სანაცვლოდ[86].

---

[81]Metzger A., Dienst gegen Daten: Ein synallagmatischer Vertrag, AcP 216, 817, 825.

[82] Wendland M., Ein neues europäisches Vertragsrecht für den Online-Handel?, EuZW 2016, 126, 637.

[83] მონაცემთა დაცვის ევროპული სამართალი, მთარგმნელი გოშაძე კ., რედ. ბეგიაშვილი მ., თბილისი 2015, 75; Buchner B., Die Einwilligung im Datenschutzrecht – vom Rechtfertigungsgrund zum Kommerzialisierungsinstrument, DuD 2010, 39, 41.

[84]Metzger A., Dienst gegen Daten: Ein synallagmatischer Vertrag, AcP 216, 817, 825.

[85]იქვე

[86]Buchner, DuD 2010, 39, 41; Metzger A., Dienst gegen Daten: Ein synallagmatischer Vertrag, AcP 216, 817, 825.

ქართული პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლისგან განსხვავებით, ევროკავშირის კანონმდებლობა ითვალისწინებს „დაკავშირების აკრძალვას“, კერძოდ, რეგულაციის მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, თანხმობის ნებაყოფლობითობის შეფასებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს, თუ რამდენად იყო დამოკიდებული ხელშეკრულების შესრულება ან მომსახურების მიწოდება იმგვარი მონაცემების დამუშავებაზე, რომლებიც არ იყო აუცილებელი ამ ხელშეკრულების შესასრულებლად ან მომსახურების მისაწოდებლად[87].

შესაბამისად, უნდა დავასკვნათ, რომ თანხმობის გაცემით შეთავაზებულ ციფრულ შინაარსსა და პერსონალურ მონაცემთა შორის ვალდებულებითი დამოკიდებულება წარმოიშობა და ამით განხილული ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს.

საბოლოოდ, ევროპის სამართალში პერსონალური მონაცემების ფულთან გაიგივებასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება პერსონალურ მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გამოხმობის გაუქარწყლებელ უფლებას[88]. აღნიშნული უფლება გათვალისწინებულია რეგულაციის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილში. რაც შეეხება კითხვას, როგორ გავკლენას მოახდენს თანხმობის გამოთხოვა სახელშეკრულებო ურთიერთობაზე, ამ შემთხვევაში რეგულაციის მე-17 მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მონაცემთა სუბიექტს აქვს უფლება, მოითხოვოს მის შესახებ მონაცემთა დაუყოვნებლივ/გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე წაშლა და დამმუშავებელი ვალდებულია, წაშალოს აღნიშნული მონაცემები თუ მონაცემთა სუბიექტი გაითხოვს თანხმობას, რომელიც იყო მონაცემთა დამუშავების საფუძველი. მონაცემთა სუბიექტს, თანხმობის გაცემამდე, ინფორმაცია უნდა მიეწოდოს თანხმობის გამოთხოვის უფლებასთან და მის შედეგებთან დაკავშირებით. ამასთან, რეგულაციის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თანხმობის გათხოვა ისეთივე მარტივი უნდა იყოს, როგორც მისი გაცემაა[89]. აქვე აღსანიშნია, რომ რეგულაციით გათვალისწინებული პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ნებადართულ შემთხვევებში, რეგულაციის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილია, რომ არ წარმოიშობა გამოხმობის უფლება, ვინაიდან ამ შემთხვევაში სახეზე არ გვაქვს მონაცემთა გადაცემა როგორც სანაცვლო შესრულება[90]. სამწუხაროდ, თანხმობის გამოხმობის საკითხი ღიად არის დატოვებული ქართულ კანონმდებლობაში.

დასკვნის სახით, მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით ინტერნეტით დადებულ ხელშეკრულებებში პერსონალურ მონაცემები ხშირად გამოიყენება როგორც „ფული“, პერსონალური მონაცემები ერთმნიშვნელოვნად ვერ მოექცევა ფულის კატეგორიაში,

---

[87]Golland A., Das Kopplungsverbot in der Datenschutz-Grundverordnung, MMR 2018, 130, 132.

[88]Wendland M., Ein neues europäisches Vertragsrecht für den Online-Handel?, EuZW 2016, 126, 637.

[89]Graf von Westphalen F., Wendehorst C., Das Verhältnis zwischen Datenschutz-Grundverordnung und AGB-Recht, NJW 2016, 3745, 3746.

[90]Metzger A., Dienst gegen Daten: Ein synallagmatischer Vertrag, AcP 216, 817, 823-824.

ვინაიდან პერსონალურ მონაცემებს არ შეუძლია ფულის ყველა ფუნქციისა და მახასიათებლების შესრულება. ამ დასკვნას ასევე ამყარებს პერსონალური მონაცემების თავისებური ბუნება, რომლებიც დაკავშირებულია არა მარტო სანივთო სამართლებრივ უფლებებთან, არამედ ადამიანის ძირითად უფლებებთან[91]. ამასთან, არ გვაქვს პასუხი კითხვაზე, თუ როგორ უნდა დადგინდეს პერსონალურ მონაცემთა ღირებულება[92].

ზემოთ მოყვანილი არგუმენტები ცხადყოფს, რომ ვალდებულებით სამართლებრივად პერსონალურ მონაცემთა განსაზღვრა როგორც სანაცვლო შეარულება ნაკლებად პრობლემატურია. ამასთან, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის პირადი უფლებების დაცვის ძირითადი მიმართულება არ ეწინააღმდეგება პერსონალურ მონაცემთა განსაზღვრას როგორც სანაცვლო შესრულებას. პერსონალურ მონაცემთა სარგებლობა, მიუხედავად მათი გაუსხვისებადი ბუნებისა[93], შესაძლებელია პერსონალურ მონაცემთა სამართლებრივი თანხმობით[94], რასაც ნათლად ადასტურებს პრაქტიკაში არსებული მაგალითები.

IV. დამატებითი სამართლებრივი მოწესრიგების აუცილებლობა

პერსონალურ მონაცემთა კომერციალიზაცია ციფრულ სამყაროში მომხმარებლისთვის მათ პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით ახალ რისკებს აჩენს. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის ძირითადი ამოცანა არის პირადი უფლებების დაცვა და მას ნაკლებად აინტერესებს პერსონალურ მონაცემთა კომერციალიზაციის ეკონომიკური და კერძო სამართლებრივი ასპექტები[95]. ამასთან, ვალდებულებითი სამართალი პირდაპირ არ აწესრიგებს ციფრული შინაარსისა და პერსონალურ მონაცემთა გაცვლის საკითხს.

ამიტომაც საკითხავია, სთავაზობს თუ არა მომხმარებელს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა საკმარის და ეფექტურ დაცვას, ასევე, საჭიროა თუ არა სსკ-ში დამატებითი რეგულაციების შემოღება პერსონალურ მონაცემთა სანაცვლოდ ციფრული შინაარსის მიწოდების შესახებ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით.

1. ციფრული შინაარსის მიწოდების შესახებ ხელშეკრულების რეგულაცია

[91]European Data Protection Supervisor, Opinion 4/2017 on the Proposal for a Directive on certain aspects concerning contracts for the supply of digital content, 14 March 2017, 7.
[92]Körber T., Konzeptionelle Erfassung digitaler Plattformen und adäquate Regulierungsstrategien, ZUM 2017, 93, 98.
[93]Grimm A., Schmidt-Kessel M., Unentgeltlich oder entgeltlich? – Der vertragliche Austausch von digitalen Inhalte gegen personenbezogene Daten, ZfPW 2017, 84, 90.
[94]იქვე.
[95] Langhanke C., Schmidt-Kessel M., Consumer Data as Consideration, EuCML 2015, 218, 220.

2015 წლის 9 დეკემბერს ევროპარლამენტის და საბჭოს წარდგინებით განთავსდა ციფრული შინაარსის მიწოდების შესახებ ხელშეკრულებების გარკვეული ასპექტების შესახებ კანონპროექტი (შემდგომში - კანონპროექტი), რომლის მიზანია ევროკავშირში მომხმარებელთა უფლებების დაცვის გაძლიერება. კანონპროექტის მე-4 მუხლის თანახმად, მას აქვს სრულად-ჰარმონიზებული ხასიათი[96] და ფოკუსირებულია მომხმარებლისა და სხვა დაინტერესებულ პირთა პირადი უფლებებისა და პირადი სფეროს დაცვაზე[97]. მართალია, კანონპროექტის მოქმედება არ გავრცელდება საქართველოზე, და ასოცირების ხელშეკრულება არ გვავალდებულებს მასზე ხელმოწერის შემდგომ მიღებული აქტების ჰარმონიზებას, მაგრამ, ვინაიდან საქართველოს საბოლოო მიზანი ევროკაშვირში გაწევრიანებას წარმოადგენს და აღნიშნული ასოცირების ხელშეკრულება სწორედ ამ პროცესის ერთგვარ „მოსამზადებელ“ ეტაპს წარმოადგენს, ევროპული რეგულაციების ქართულ სამართალში ინპლემენტაცია მხოლოდ დროის საკითხია. სწორედ ამიტომ, საჭიროა შესწავლილ იქნეს ისეთი უახლესი რეგულაციები, როგორსაც წარმოადგენს კანონპროექტი.

კანონპროექტი არ მოიცავს ციფრული შინარსის მიწოდების შესახებ ხელშეკრულებების ყველა ასპექტს, ის მხოლოდ სტატუს-ურთიერთობებს (Statusbeziehungen) და არა ინტერესთა გათანაბრებას აწესრიგებს[98]. კანონპროექტის მე-3 მუხლის მე-8 ნაწილის მიხედვით კანონპროექტი არ ვრცელდება პერსონალურ მონაცემთა დამუშავების დროს ფიზიკური პირის დაცვაზე[99]. ამიტომაც წარმოიშობა პერსონალური მონაცემების სანაცვლოდ ციფრული შინაარსის მიწოდების შესახებ ხელშეკრულებების სახელშეკრულებო სამართლებრივი რეგულირების აუცილებლობა[100]. შედეგად, პერსონალური მონაცემების როგორც ვალდებულების საგნის გამოყენებისას უნდა გამოვყოთ დაცვის ორი დონე: პერსონალურ მონაცემთა კომერციალიზაცია და პირადი უფლებების დაცვა[101].

სამართლებრივ სისტემაში ფუნქციათა განაწილების შესაბამისად, ვალდებულებითი სამართალი მოიცავს თითოეულ სახელშეკრულებო ურთიერთობაში არსებულ ინტერესთა გათანაბრებას[102]. ამიტომაც აუცილებელია ისეთი ხელშეკრულების ტიპების,

---

[96]Faust F., Digitale Wirtschaft – Analoges Recht: Braucht das BGB ein Update? – Gutachten zum 71. Deutschen Juristentag, 4; Gsell B., Der europäische Richtlinienvorschlag zu bestimmten vertragsrechtlichen Aspekten der Bereitstellung digitaler Inhalte, ZUM 2018, 75.

[97]Langhanke C., Schmidt-Kessel M., Consumer Data as Consideration, EuCML 2015, 218, 220.

[98]Grimm A., Schmidt-Kessel M., Unentgeltlich oder entgeltlich? – Der vertragliche Austausch von digitalen Inhalte gegen personenbezogene Daten, ZfPW 2017, 84, 86.

[99]Erler K., Grimm, A., Kramme M., Schmidt-Kessel M., Die Richtlinienvorschläge der Kommission zu Digitalen Inhalten und Online-Handel – Teil 2, GPR 2/2016, 54, 59.

[100]იქვე

[101]იქვე

[102]Grimm A., Schmidt-Kessel M., Unentgeltlich oder entgeltlich? – Der vertragliche Austausch von digitalen Inhalte gegen personenbezogene Daten, ZfPW 2017, 84, 86.

ვალდებულებით სამართალში მოწესრიგება, სადაც პერსონალური მონაცემების გადაცემა ხდება როგორც სანაცვლო შესრულება[103]. ასეთი ვალდებულებით-სამართლებრივი რეგულაციები მოცემულია კანონპროექტის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტში, მე-15 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტში, მე-16 მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში. კერძოდ, როგორც ხელშეკრულების შეწყვეტის ან ციფრული შინაარსის შეცვლის სამართლებრივი შედეგი, მიმწოდებელს ვალდებულებით სამართლებრივად ეკისრება ციფრული შინაარსის სანაცვლოდ გადაცემული პერსონალური მონაცემების გამოყენების შეწყვეტა[104]. ამასთან, კანონპროექტის პრეამბულის 37-ე პუნქტის მიხედვით, პერსონალურ მონაცემთა სანაცვლოდ ციფრული შინაარსის მიწოდების შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტისას მიმწოდებელი ვალდებულია შესაბამისი ზომები მიიღოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის დადგენილებათა შესრულებისთვის. წინამდებარე ნორმა შეიცავს ორ ვალდებულებას: წაშლა და ანონიმიზირება ისე, რომ მომხმარებელი ვერანაირი საშუალებით ვერ იქნეს იდენტიფიცირებული. საბოლოოდ, კანონპროექტის პრეამბულის 37-ეპუნქტი ადგენს, რომ მიმწოდებელი არ არის ვალდებული მონაცემებთან დაკავშირებით მიიღოს დამატებითი ზომები. აღნიშნული დებულების საფუძველზე კანონპროექტის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ხელშეკრულების დასრულების შემთხვევაში მიმწოდებელს რჩება პერსონალურ მონაცემთა სარგებლობიდან მიღებული სარგებელი ნაკლოვანი ციფრული შინაარსის მიწოდების შემთხვევაშიც[105].

ამასთან, პერსონალურ მონაცემთა ღირებულება არ არის სათანადოდ შეფასებული[106]. ამიტომაც ვალდებულებითმა სამართალმა მომხმარებლის პერსონალურ მონაცემთა ეკონომიკური ღირებულება ნათლად უნდა დაადგინოს და შემოგვთავაზოს მომხმარებელთა დაცვის შესაბამისი ნორმები ასევე მაშინ, როცა პერსონალურ მონაცემთა სანაცვლოდ ციფრული შინაარსის გაცვლა და მათი გამოყენება მხარეთა შეთანხმებით ხდება[107].

კანონპროექტი, როგორც აღინიშნა, პერსონალურ მონაცემთა და ციფრული შინაარსის გაცვლას ამომწურავად არ არეგულირებს[108]. ასე რომ, წევრ ქვეყნებს ინტერპრეტაციის თავისუფლება აქვთ და შეუძლიათ სამართლებრივი შედეგების ინპლემენტაცია[109]. პერსონალურ მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გამოხმობის

---

[103]Erler K., Grimm, A., Kramme M., Schmidt-Kessel M., Die Richtlinienvorschläge der Kommission zu Digitalen Inhalten und Online-Handel – Teil 2, GPR 2/2016, 54, 59.
[104]იქვე
[105]Erler K., Grimm, A., Kramme M., Schmidt-Kessel M., Die Richtlinienvorschläge der Kommission zu Digitalen Inhalten und Online-Handel – Teil 2, GPR 2/2016, 54, 59-60.
[106]Langhanke C., Schmidt-Kessel M., Consumer Data as Consideration, EuCML 2015, 218, 218.
[107]იქვე.
[108]Erler K., Grimm, A., Kramme M., Schmidt-Kessel M., Die Richtlinienvorschläge der Kommission zu Digitalen Inhalten und Online-Handel – Teil 2, GPR 2/2016, 54, 59.
[109]იქვე, 60.

სამართლებრივი შედეგები დარეგულირებულ უნდა იქნეს ეროვნული სამართლის მიერ[110]. ასევე პერსონალურ მონაცემთა სანაცვლოდ ციფრული შინაარსის მიწოდების შესახებ ხელშეკრულების კვალიფიკაცია როგორც ნასყიდობის, ქირავნობის ან მომსახურების ხელშეკრულება წევრი ქვეყნების რეგულირების საგანია[111]. მიუხედავად ამისა, მათ არ შეუძლიათ მომხმარებელთა დაცვის კანონპროექტზე დაბალი დაცვის სტანდარტის შემოღება[112].

შედეგად, უნდა დავასკვნათ, რომ იმ შემთხვევაში, თუ კანონპროექტი მოითხოვს ახალ რეგულაციებს, დასაწყისში პასუხი დასმულ კითხვაზე, საჭიროა თუ არა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში დამატებითი ნორმების შემოღება, არის დიახ, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსში ახალი რეგულაციების დამატება საჭიროა იმისთვის, რომ შესაბამისობაში იყოს ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ამიტომაც, მომდევნო ქვეთავში უნდა დადგინდეს, თანამედროვე სამოქალაქო კოდექსი და ასევე პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახევ საქართველოს კანონი შეიცავს თუ არა პერსონალურ მონაცემთა კომერციალიზაციისთვის ადექვატურ რეგულაციებს[113].

2. მომხმარებელთა უფლებების სამართლებრივი დაცვა

კანონმა, როგორც უკვე აღინიშნა, დიგიტალიზაციით გამოწვეული რისკები უნდა გაანეიტრალოს მომხმარებელთა დაცვის ორი დონით - პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლითა და ვალდებულებიღი სამართლით[114]. ქვემოთ განხილული იქნება რომელი დაცვის ზომები არის დღეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალსა და ვალდებულებით სამართალში შემოთავაზებული.

2.1. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის საფუძველი ძირითადად მოცემულია ქარტიის მე-8 მუხლში, რომლის მიხედვითაც მონაცემთა კანონიერი დამუშავების წინაპირობებია კონკრეტულ მიზანთან კავშირი და მონაცემთა სუბიექტის თანხმობა ან კანონით

[110]იქვე.
[111]Faust F., Digitale Wirtschaft – Analoges Recht: Braucht das BGB ein Update? – Gutachten zum 71. Deutschen Juristentag, 5.
[112]Erler K., Grimm, A., Kramme M., Schmidt-Kessel M., Die Richtlinienvorschläge der Kommission zu Digitalen Inhalten und Online-Handel – Teil 2, GPR 2/2016, 54, 60.
[113]Faust F., Digitale Wirtschaft – Analoges Recht: Braucht das BGB ein Update? – Gutachten zum 71. Deutschen Juristentag, 5.
[114]Langhanke C., Schmidt-Kessel M., Consumer Data as Consideration, EuCML 2015, 218, 219.

გათვალისწინებული დამუშავების სხვა საფუძვლის არსებობა.[115] სწორედ ამ ძირითადი დებულების უფრო კონრეტულად რეგულირებისთვის ევროკავშირის კანონმდებელმა მიიღო რეგულაცია. მნიშვნელოვანია, რომ რეგულაცია ვრცელდება როგორც ევროკავშირში რეგისტრირებულ, ისე მის ფარგლებს გარეთ დაფუძნებულ ორგანიზაციებზე, რომლებიც ამუშავებენ ევროკავშირში მყოფ პირთა პერსონალურ მონაცემებს.

ამდენად, საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაღრმავებული სავაჭრო ურთიერთობების გათვალისწინებით, რეგულაციის მოქმედების არეალში შეიძლება გავრცელდეს ასევე ცალკეულ ქართულ ორგანიზაციებზეც, თუ მათ აქვთ ფილიალი/წარმომადგენლობა ევროკავშირის ტერიტორიაზე ან ამუშავებენ ევროკავშირის ტერიტორიაზე მყოფი პირების პერსონალურ მონაცემებს (ა)მათთვის საქონლის ან მომსახურების შეთავაზების მიზნით, იმის მიუხედავად, ფასიანია თუ არა ეს საქონელი ან მომსახურება; (ბ) მათი ქცევის მონიტორინგის მიზნით.

რეგულაციის მიღებით, ევროკავშრში პერსონალური მონაცემების დაცვა ახალ ფაზაში გადადის და მიზნად ისახავს ტექნოლოგიური განვითარებისა და აქედან გამომდინარე თანამედროვე გამოწვევების პირობებში საყოფაცხოვრებო უფლებების დაცვას. ის ადგენს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ახალ სამართლებრივ პრინციპებს: მონაცემთა დამუშავების ორგანიზაციების ანგარიშვალდებულება, მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის შეტყობინების ვალდებულება და სხვ. ამდენად, ის გვთავაზობს ფიზიკურ პირთა და მათ პერსონალურ მონაცემთა ძლიერ დაცვას. ის ხელმძღვანელობს მაკრომდებარეობის პრინციპით, რომელიც ზრუნავს მომხმარებელთა უფლებების ძლიერ დაცვაზე არა მხოლოდ ევროკავშირის შიგნით, არამედ მის ფარგლებს გარეთაც[116].

„პერსონალურ მონაცემთა“ ცნების გაფართოება მომხმარებელთა დაცვაში დიდ როლს თამაშობს, რადგან ამით ფართოვდება ინტერპრეტაციის არეალი და ზრუნავს იმაზე, რომ ინფორმაციის დიდი ნაწილი დაკვალიფიცირდეს როგორც პერსონალური მონაცემი[117].

ასევე საყურადღებოა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონით დადგენილი საფუძვლების გაფართოება, რომელის მიხედვითაც პერსონალურ მონაცემთა დამუშავება მხოლოდ მაშინ არის დასაშვები, როცა მომხმარებელი თანხმობას გასცემს მათ დამუშავებაზე ან სარგებლობაზე, ან როცა ასეთი დამუშავება ან სარგებლობა კანონით

---

[115] ქალდანი თ., სარიშვილი ნ., პერსონალურ მონაცემთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა საქართველოში, ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული და საერთაშორისო მექანიზმები, რედ.კონსტანტინე კორკელია, თბილისი 2016, 146

[116]Buchner B., Hof H., Petri T., Tinnefeld M., Einführung in das Datenschutzrecht – Datenschutz und Informationsfreiheit in europäischer Sicht, 6. Aufl., Berlin 2018, 605.

[117]European Data Protection Supervisor, Opinion 4/2017 on the Proposal for a Directive on certain aspects concerning contracts for the supply of digital content, 14 March 2017, 3.

ნებადართულია. შედეგად, მონაცემთა სუბიექტის თანხმობა ნებისმიერი ასეთი სახელშეკრულებო ურთიერთობის გასაღებია.

რეგულაციამ კარგი ბალანსი იპოვა მომხმარებელთა დაცვასა და მეწარმეთა დაცვას შორის[118]. თუმცა ის მოიცავს მხოლოდ პირადი უფლებების დაცვის ასპექტებს და არ მოიცავს პერსონალურ მონაცემთა კომერციალიზაციისა და ღირებულების საკითხებს.

რეგულაციასთან ერთად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონიც იცავს პერსონალურ მონაცემებს უკანონო დამუშავებისგან, მაგრამ მსგავსად რეგულაციისა, მოუწესრიგებელი რჩება პერსონალურ მონაცემთა კერძო სამართლებრივი დაცვა.

2.2. ვალდებულებით-სამართლებრივი რეგულაციები

მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლის მიერ მომხმარებელი აღიარებულია როგორც სახელშეკრულებო ურთიერთობის „სუსტი“ მხარე, ვინაიდან მეწარმეები ორიენტირებულნი არიან უპირატესობის მოპოვებაზე, მათ აქვთ უფრო დიდი რესურსები და ამდენად, უფრო მარტივად ახერხებენ მომხმარებლეთა მიზიდვას და მათ შეთავაზებული პროდუქტისა თუ მომსახურების ყიდვაზე დაყოლიებას.[119] შესაბამისად, მომხმარებელთა უფლებების დაცვა ძირითადად გულისხმობს მომხმარებელთა სახელშეკრულებო თავისუფლების დაცვას.[120]

საქართველოში დღესდღეობით მომხმარებელთა უფლებებს იცავს საქართველოს კონსტიტუცია და სსკ. 1996 წლის კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ გაუქმდა 2012 წელს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის მიღებით და მისი ნორმათა ნაწილი, თითქმის უცვლელი სახით, გადატანილ იქნა სწორედ ამ კოდექსში. ამჟამად, საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი მუშაობს „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტზე, რომელიც შესაბამისობაში იქნება ევროკავშირის კანონმდებლობასა და სტანდარტებთან ასევე მომხმარებლების უფლებათა დაცვის სფეროში არსებულ პრაქტიკასთან[121].

საყურადღებოა, რომ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2011 წლის მომხმარებელთა უფლებების შესახებ დირექტივა განმარტავს ციფრულ შინაარსს, კეძოდ კი მისი პრეამბულის მე-19 პუნქტის თანახმად „ციფრული შინაარსი წარმოადგენს მონაცემებს,

---

[118]იქვე, Rn. 23.

[119] ლაკერბაია თ., დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებში მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული მოდელი ხელშეკრულების უარყოფის მაგალითზე, სამართლის ჟურნალი N1, 2017, 88.

[120] იქვე, 89.

[121] ზაალიშვილი ვ., ზოიძე თ., ლაკერბაია თ., მომხმარებელთა უფლებების დასცვის სამართალი (ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა), თბილისი 2018, 39-40.

რომელთა წარმოება და მიწოდება ხორციელდება ისეთი ციფრული ფორმით, როგორიცაა კომპირუტერული პროგრამა, აპლიკაციები, თამაშები, მუსიკა, ვიდეოები ან ტექსტები, იმის მიუხედავად, ისინი ხელმისაწვდომია გადმოწერის თუ პირდაპირი გამოყენების გზით მატერიალური მატარებლიდან ან ნებისმიერი სხვა საშუალებით. ციფრული შინაარსის მიწოდების შესახებ ხელშეკრულებები წინამდებარე დირექტივის ფარგლებში ექცევა. იმ შემთხვევაში, როცა ციფრული შინაარსის მიწოდება ხდება სხეულებრივი მატარებლის საშუალებით, როგორიცაა CD ან DVD დისკები, ანდა USB-მატარებელი, ის განიხილება როგორც საქონელი წინამდებარე დირექტივის მიზნებისთვის"[122].

საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმება ავალდებულებს საქართველოს აწარმოოს მჭიდრო თანამშრომლობა მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში და უზრუნველყოს ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია ამ მიმართულებით. ასოცირების შეთანხმებაში კონკრეტულად არის ჩამოთვლილი მომხმარებელთა უფლებების შესახებ ის ევროპული დირექტივები, რომელთა იმპლემენტირება ეროვნულ კანონმდებლობაში სავალდებულოა მომხმარებელთა უფლებების მარეგულირებელი ნორმების რეფორმირების დროს.[123] ამდენად, ევროპული დირექტივებით დამკვიდრებული მომხმარების უფლებათა დაცვის სამართლებრივი სტანდარტები, უახლოეს მომავალში ასახული იქნება ქართულ სამართალშიც. ამიტომაც, მომხმარებელთა უფლებების დაცვა ევროპის სახელშეკრულებო სამართლის ნორმების მაგალითზე მნიშვნელოვანია როგორც მისი საკანონმდებლო რეგლამენტაციისათვის, ასევე პრაქტიკაში დანრეგვისთვისაც.

მიუხედავად მომხმარებელების უფლებათა დაცვის სპეციალური კანონის არ არსებობისა, მომხმარებელი დაუცველი მაინც არ რჩება. მათ დაცვას უზრუნველყოფს სსკ-ს ვალდებულებითი სამართლის ნორმები, ამასთან, ამ კუთხით ასევე ჩამოყალიბებულია გარკვეული სასამართლო პრაქტიკა.

პერსონალური მონაცემები დაცულია სსკ-ს ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნორმებით. სსკ-ს 316-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თავისი შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით ვალდებულება შეიძლება ყოველ მხარეს აკისრებდეს მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებულ გულისხმიერებას, ხოლო აღნიშნული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, დაზარალებულ მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება სსკ-ს 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. აღნიშნული რეგულაცია მოქმედებს ასევე ისეთ შემთხვევებში, როგორიცაა პერსონალურ მონაცემთა უსაფუძვლო წაშლა ან შეცვლა.

---

[122] ლაკერბაია თ., დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებში მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული მოდელი ხელშეკრულების უარყოფის მაგალითზე, სამართლის ჟურნალი N1, 2017, 94.

[123]ლაკერბაია თ., ხელშეკრულების უარყოფის უფლება: ქართული და ევროპული სახელშეკრულებო სამართლის შედარებითი ანალიზი, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2016, 43.

პერსონალურ მონაცემთა სარგებლობის უფლებამოსილების გადაცემა როგორც სანაცვლო შესრულების დროს, სადავოა გამოიყენება თუ არა სსკ-ს მომხმარებლის უფლებათა დაცვის სამართლებრივი რეგულაციები. გერმანული სამართალში, გსკ-ს 312-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის მიხედვით, 312-312თ პარაგრაფების (სამომხმარებლო ხელშეკრულების მომწესრიგებელი რეგულაციები) გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მეწარმესა და მომხმარებელს შორის დადებული ხელშეკრულებების მიმართ, რომელთა საგანიც არის მეწარმის სასყიდლიანი ვალდებულება. თუმცა ამ დანაწესის საწინააღმდეგოდ, ევროკავშირის მომხმარებელთა დაცვის დირექტივა მისი გამოყენებისთვის არ მითხოვს მეწარმის ვალდებულების სასყიდლიანობას[124]. მოცემულ შემთხვევაში, უსასყიდლობა ფართოდ უნდა იქნეს გაგებული ისე, რომ პერსონალურ მონაცემთა სანაცვლოდ ციფრული შინაარსის მიწოდების შესახებ ხელშეკრულებები მოცულია გსკ-ს სამომხმარებლო ხელშეკრულებების რეგულაციით[125].

გსკ-ს სამომხმარებლო ხელშეკრულებების პარაგრაფების მნიშვნელოვან დანაწესებს წარმოადგენს მეწარმის ინფორმირების ვალდებულება და უარყოფის უფლება[126]. გსკ-ს 312ა პარაგრაფის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადებისა და 312დ პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების თანახმად, მეწარმე ვალდებულია ხელშეკრულებაზე ნების გამოვლენამდე უზრუნველყოს მომხმარებლის მკაფიოდ და გასაგები ფორმით ინფორმირება ციფრული შინაარსის არსებითი მახასიათებლების, მისი იდენტურობის, ფასის, ციფრული შინაარსის ფუნქციონირების, მათ შორის ტექნიკური დაცვის ზომების შესახებ და ა.შ. რაც შეეხება ხელშეკრულების უარყოფის უფლებას, მისი გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს, როცა პერსონალური მონაცემები უკვე დამუშავებულია ან გამოყენებულია და ამიტომაც პერსონალურ მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გამოთხოვა შეუძლებელია[127]. გსკ-ს 357-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის თანახმად, გამოთხოვის შედეგად წარმოიშობა თანხმობის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ პერსონალურ მონაცემთა დამუშავება ამ მომენტიდან დაუშვებელია[128].

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლებრივი რეგულაციები არ არის საკმარისი მომხმარებლის პერსონალურ მონაცემთა დასაცავად კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში. ვალდებულებით სამართალში უნდა დაემატოს ახალი ნორმები, რომლებიც გაითვალისწინებენ ციფრული შინაარსის მიწოდების შესახებ ხელშეკრულებების თავისებურებებს. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს

---

[124] Metzger A., Dienst gegen Daten: Ein synallagmatischer Vertrag, AcP 216, 817, 845.

[125]ლაკერბაია თ., დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებში მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული მოდელი ხელშეკრულების უარყოფის მაგალითზე, სამართლის ჟურნალი N1, 2017, 94.

[126] Metzger A., Dienst gegen Daten: Ein synallagmatischer Vertrag, AcP 216, 817, 846.

[127]Faust F., Digitale Wirtschaft – Analoges Recht: Braucht das BGB ein Update? – Gutachten zum 71. Deutschen Juristentag, 12.

[128]იქვე.

პარლამენტში ამჟამად განიხილება „ელექტრონული კომერციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს ზემოთაღნიშნული საკითხების რეგულირებას. აღნიშნული კანონის მიღების შემთხვევაში, აღარ იარსებებს სამოქალაქო კოდექსში აღნიშნული ცვლილებების შეტანის აუცილებლობა. მიუხედავად ამისა, სსკ არ საჭიროებს საფუძვლიან ცვლილებებს. საკმარისია ახალი და ცხადი რეგულაციები, რომლებიც დააკმაყოფილებს დიგიტალიზაციით გამოწვეულ ცვლილებებს. ასევე, მნიშვნელოვანია „მომხმარებელთა უფლებათა დაცვის შესახებ“ კანონის ჰარმონიზება ევროპულ კანონმდებლობასთან და იმ სიახლეების ასახვა, რაც ტექნოლოგიურმა განვითარებამ მოიტანა საზოგადოებაში.

V. დასკვნა

პერსონალურ მონაცემთა კომერციალიზაცია არის მართლწესრიგის რელევანტური და აქტუალური პრობლემა. ზრდად ტექნოლოგიურ ევოლუციასთან ერთად წარმოიშობა მომხმარებლის პირად უფლებებთან ერთად მისი საკუთრების ინტერესებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის აუცილებლობა. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის დღესდღეობით მოქმედ დებულებებში არ არის გათვალისწინებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის ყველა მნიშვნელოვანი ასპექტი. ასევე, საჭიროა ეროვნული კანონმდებლობის ევროპის უახლეს რეგულაციებთან შესაბამისობაში მოყვანა, რათა ქვეყანაში დადგინდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფრო მაღალი სტანდარტი. კერძო სამართლებრივი ინტერესების დაცვის კუთხით კი საჭიროა, რომ ვალდებულებითმა სამართალმა დაარეგულიროს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის მიერ ღიად დატოვებული საკითხები, მოაწესრიგოს და ფეხი აუწყოს დღევანდელობას.

ზემოთ მოცემული კვლევის თანახმად, დასკვნის სახით, შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი პუნქტები:

1. მიუხედავად იმისა, ციფრული შინაარსი შემოთავაზებულია თუ არა „უფასოდ“, პერსონალურ მონაცემთა სანაცვლოდ ციფრული შინაარის მიწოდების შესახებ ხელშეკრულება არ არის უსასყიდლო, როდესაც, მართალია, პერსონალური მონაცემების გადაცემა არ არის აუცილებელი, მაგრამ ამის გარეშე მიმწოდებელს არ სურს მომხმარებელს მიაწოდოს შემოთავაზებული ციფრული შინაარსი.

2. პერსონალურ მონაცემთა სანაცვლოდ ციფრული შინაარის მიწოდების შესახებ სასყიდლიანი ხელშეკრულების შემთხვევაში გამოიყენება მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართ მოქმედი სამოქალაქო კოდექსის ნორმები.

3. მოქმედ სამოქალაქო კოდექსში არ არსებობს ციფრული შინაარის მიწოდების შესახებ ახალი ხელშეკრულების ტიპის რეგულირების აუცილებლობა, რადგან

შესაძლებელია მათი როგორც გაცვლის ხელშეკრულების კვალიფიცირება, როცა მომხმარებელს ციფრული შინაარსი საბოლოოდ და უვადოდ გადაეცემა, ხოლო ციფრული შინაარსის გარკვეული დროით გადაცემის შემთხვევაში - როგორც ქირავნობის ხელშეკრულება.

4. ციფრული შინაარის მიწოდების შესახებ ხელშეკრულება არ არის უსასყიდლო, რის გამოც ჩუქებისა და თხოვების ხელშეკრულებების მომწესრიგებელი ნორმები მის მიმართ არ გამოიყენება.

5. პერსონალური მონაცემები არ არის ფული - „ვალუტა". თუმცა შესაძლებელია მათი გამოყენება ინტერნეტში დადებულ ხელშეკრულებაში როგორც ხელშეკრულების საგანი და შესაბამისად - როგორც სანაცვლო შესრულება - როგორც ვალდებულებითი სამართლის, ისე პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის თვალსაზრისით.

6. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალი მომხმარებელს იცავს მხოლოდ ადამიანის ძირითადი უფლებების კუთხით. პერსონალურ მონაცემთა ღრებულებისა და საკუთრების უფლების საკითხი სამართლის ამ დარგის ფარგლებში ღია რჩება.

7. პერსონალური მონაცემები საკმარისად არ არის დაცული საქართველოს კანონდმებლობის მიერ. საჭიროა ახალი ცვლილებები და დამატებები ისე, რომ გათვალისწინებულ იქნეს პერსონალურ მონაცემთა და ციფრული შინაარსის თავისებურებები. ასევე აუცილებელია რეგულაციისა და ევროპის სხვა რელევანტური რეგულაციების იმპლემენტაცია ქართულ კანონმდებლობაში.

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

ნორმატიული მასალა:

საქართველოს კონსტიტუცია

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“

ევროკავშირის პარლამენტისა და საბჭოს კანონპროექტი 2015/0287 (COD) ციფრული შინაარსის მიწოდების შესახებ ხელშეკრულებების გარკვეული ასპექტების შესახებ

ევროკავშირის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაცია (EU) 2016/679 პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და ასეთი მონაცემების თავისუფალი გაცვლის შესახებ.

ევროპარლამენტისა და საბჭოს 2011/83/EU დირექტივა მომხმარებელთა უფლებების შესახებ

ძირითად უფლებათა ევროპული კავშირის ქარტია (2000/C 364/01)

Bürgerliches Gesetzbuch (BGB)

სასამართლო გადაწყვეტილებები:

გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლო, BGH VIII ZR 3/06 Urteil vom 15.11.2006

სამეცნიერო ლიტერატურა:

ბიჭია მ., პერსონალური მონაცემების კერძოსამართლებრივი დაცვის პრობლემა ინტერნეტსამყაროში, VIII საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია inso-2017

გვენეტაძე ლ., ფინანსების ზოგადი თეორია, თბილისი, 2007

დანელია ე., გამიჯვნის პრინციპი ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2008

ზაალიშვილი ვ., ზოიძე თ., ლაკერბაია თ., მომხმარებელთა უფლებების დასცვის სამართალი (ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა), თბილისი 2018

ლაკერბაია თ., დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებში მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული მოდელი ხელშეკრულების უარყოფის მაგალითზე, სამართლის ჟურნალი N1, 2017

ლაკერბაია თ., ხელშეკრულების უარყოფის უფლება: ქართული და ევროპული სახელშეკრულებო სამართლის შედარებითი ანალიზი, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2016

მონაცემთა დაცვის ევროპული სამართალი, მთარგმნელი გოშაძე კ., რედ. ბეგიაშვილი მ., თბილისი 2015

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი I, სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი 2001

სახელშეკრულებო სამართალი - სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის, რედ. ჯუღელი გ., თბილისი 2014

სხირტლაძე ნ., პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლებრივი ასპექტები, თბილისი 2017

ქალდანი თ., სარიშვილი ნ., პერსონალურ მონაცემთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა საქართველოში, ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული და საერთაშორისო მექანიზმები, რედ.კონსტანტინე კორკელია, თბილისი 2016, 146

ძლიერიშვილი ზ., ჩუქების ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება (მონოგრაფია), თბილისი, 2004, 23;

ARTICLE 29 Data Protection Working Party, Working document on data protection issues related to RFID technology 10107/05/EN WP 105, January 19, 2005

ARTICLE 29 Data Protection Working Party, Opinion 4/2007 on the concept of personal data WP 136, 20 June 2007

Beck Online Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch, Hrsg. Bamberger H. G., Hau W., Poseck R., Roth H., 46. Edition, Stand: 01.05.2018

Bräutigam P., Das Nutzungsverhältnis bei sozialen Netzwerken Zivilrechtlicher Austausch von IT-Leistung gegen personenbezogene Daten, MMR 2012, 635

Buchner B., Die Einwilligung im Datenschutzrecht – vom Rechtfertigungsgrund zum Kommerzialisierungsinstrument, DuD 2010, 39

Buchner B., Hof H., Petri T., Tinnefeld M., Einführung in das Datenschutzrecht – Datenschutz und Informationsfreiheit in europäischer Sicht, 6. Aufl., Berlin 2018

Datenschutz-Grundverordnung / BDSG – Kommentar, Hrsg. Buchner, B., Kühling J., 2. Aufl., München 2018

Erler K., Grimm, A., Kramme M., Schmidt-Kessel M., Die Richtlinienvorschläge der Kommission zu Digitalen Inhalten und Online-Handel – Teil 2, GPR 2/2016, 54

European Data Protection Supervisor, Opinion 4/2017 on the Proposal for a Directive on certain aspects concerning contracts for the supply of digital content, 14 March 2017

Europäische Zentralbank: Was ist Geld?, o.b. <https://www.ecb.europa.eu/explainers/tell-me-more/html/what_is_money.de.html> (20.06.2017)

Faust F., Digitale Wirtschaft – Analoges Recht: Braucht das BGB ein Update? – Gutachten zum 71. Deutschen Juristentag

Fischer, M., Die Unentgeltlichkeit im Zivilrecht, Köln u.a. 2002

Golland A., Das Kopplungsverbot in der Datenschutz-Grundverordnung, MMR 2018, 130

Graf von Westphalen F., Wendehorst C., Das Verhältnis zwischen Datenschutz-Grundverordnung und AGB-Recht, NJW 2016, 3745

Grimm A., Schmidt-Kessel M., Unentgeltlich oder entgeltlich? – Der vertragliche Austausch von digitalen Inhalte gegen personenbezogene Daten, ZfPW 2017, 84

Gsell B., Der europäische Richtlinienvorschlag zu bestimmten vertragsrechtlichen Aspekten der Bereitstellung digitaler Inhalte, ZUM 2018, 75

Heidelberger Kommentar zum Datenschutz-Grundverordnung / Bundesdatenschutzgesetz: Hrsg. Jaspers, A., Kugelmann, D., Schwartmann, R., Thüsing G., Heidelberg 2018

Helmedag F., Geld: Einführung und Überblick, Knapps Enzyklopädisches Lexikon des Geld-, Bank- und Börsenwesens, Frankfurt am Main, Artikel Nr. 4390, 2007

Klar M., Kühling J., Sackmann F., Datenschutzrecht, 4. Aufl., Regensburg u. a. 2018

Klar M., Datenschutzrecht und die Visualisierung des öffentlichen Raums, Regensburg, 2012

Körber T., Konzeptionelle Erfassung digitaler Plattformen und adäquate Regulierungsstrategien, ZUM 2017, 93

Langhanke C., Schmidt-Kessel M., Consumer Data as Consideration, EuCML 2015, 218

Metzger A., Dienst gegen Daten: Ein synallagmatischer Vertrag, AcP 216, 817

Münchener Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch: Hrsg. Rebmann K., Säcker F., 7. Aufl., München 2016 ff. (zitiert: Bearbeiter, MüKo, BGB, 7. Aufl. 2016)

Omlor S., Geldprivatrecht Entmaterialisierung, Europäisierung, Entwertung, Hamburg 2014

Specht L., Daten als Gegenleistung – Verlangt die Digitalisierung nach einem neuen Vertragtypus? JZ, 2017, 763

J. von Staudingers Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen, Buch 2 - §§516-534, 15. Aufl., Berlin 2013

Unseld F., Die Übertragbarkeit von Persönlichkeitsrechten, GRUR 2011, 981

Wendland M., Ein neues europäisches Vertragsrecht für den Online-Handel?, EuZW 2016, 126